# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 მარტი 2008 №058 (3282) ფასი 50 თეთრი


არსენალი – ლივერპული

რომა – მანჩესტერი

შალკე – ბარსელონა

ფენერბაჰჩე – ჩელსი

## ვის რა ახარებს ნაწილისყრევს

### მანჩესტერი და ჩელსი მეორდებიან

არსენალი: მილანს ხომ მოვუგეთ...
ლივერპული: ფენერბაჰჩეს ავცდით!
რომა: ველოდით, ვგრძნობდით...
მანჩესტერი: პრემიერლიგელი არა!
შალკე: მეოთხედფინალში ვართ...
ბარსელონა: ინგლისელებს ავცდით!
ფენერბაჰჩე: სტამბოლში გავიტანთ!
ჩელსი: პრემიერლიგელი არა!

**ნახევარფინალი**

არსენალი/ლივერპული VS ფენერბაჰჩე/ჩელსი
რომა/მანჩესტერი VS შალკე/ბარსელონა

გუშინ ნიონში ბოლო საამსეზონო წილისყრა ჩატარდა და მეოთხედფინალებთან ერთად სავარაუდო მეტოქეები ნახევარფინალისთვისაც დაწყვილდნენ.

ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილი ერთადერთი ქართველის, გელზენკირხენელი ლევან კობიაშვილის გზა „კამპ ნოუზე“ უეჭველად გადის, მერე კი ეგებ „სტადიო ოლიმპიკო“ ან „ოლდ ტრეფორდიც“ იყოს...

## აფირჩიოთ, სად წავიდეთ ცენტრი რუსთავში. მოლოდინი ვაკეში



ტურის მთავარი მატჩი „ოლიმპი“ — „ვიტ ჯორჯია“

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ძრავები აბღუვლდა. სისხლი ადუღდა!



ყველაზე სწრაფმა მანქანებმა დღეს გამთენიისას კვალიფიკაცია გაიარეს, ხვალ დილას კი ამ სეზონის პირველი დიდი პრიზის მოსაგებად აალმუვლებენ ძრავებს მელბურნის „ალბერტ პარკზე“.

მოკლედ, ფორმულა 1 ბრუნდება!

ფორმულის მცოდნეთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ 2008 წლის სეზონი ნაკლებ საინტერსო იქნება, რაკი „ფერარი“ სხვა საჯინიბოებზე ძლიერად ჩანს. მაგრამ არც მთლად ასე უნდა იყოს საქმე და ვინძლო ამ ჩვენი ვარაუდის სისწორე მალე გამოჩნდეს.

სამეფო მრბოლების ქარავანი 59-ედ მიუყვება გრძელ, მომქანცველ და ხიფათიან გზას...



ორი შეკრება ანთალიაში, ჩინებული მოსამზადებელი პირობები, ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე სოლიდური ლეგიონერები, ძალიან გამოცდილი მწვრთნელი, თითქმის ყველაფერი, რამაც თბილისის „დინამო“ ჩემპიონის ტიტულამდე უნდა მიიყვანოს — აი, ასეთ ფრაზებს მოისმენთ „დინამოს“ მატჩებისას ტრიბუნაზე, რაც მეორე წრე დაიწყო, მაგრამ დინამოელთა თამაშის შემხედვარე იგივე გულშემატკივრები მხრებსაც ხშირად იჩეჩავენ... „დინამო“ ქულებს ქულებზე კი იხვეჭს და საქართველოს თასის ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ გუნდი მთლად დამაჯერებლად ველარ გამოიყურება.
რა ხდება, რა პრობლემებია დუშან უჰრინის სამწყსოში, რატომ გაუარესდა გუნდის თამაშის ხარისხი ზამთრის შესვენების შემდეგ?
ამ და სხვა კითხვებით „დინამოს“ მწვრთნელს გუშინ მივმართეთ...

# პრობლემებიდან პიკამდე

## დუშან უჰრინი: საჭირო დროს, საჭირო ფორმაში

— ეთანხმებით მათ, ვინც ამბობს, რომ ჩემპიონატის განახლების შემდეგ „დინამო“ ისეთ ფეხბურთს ველარ აჩვენებს, როგორსაც თქვენი გუნდისგან ელიან?

— ცხადია, ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით თავადაც უკმაყოფილო ვარ — კარგად მესმის ჩვენი გულშემატკივრების, ისინი შედეგთან ერთად ლამაზ და გამართულ ფეხბურთს ითხოვენ. მწვრთნელი ვარ და ჩემზე უკეთ, აბა, ვინ იცის, რა უჭირს „დინამოს“ — ფაქტია, გუნდი კარგად ვერ თამაშობს. სეზონის განახლების შემდეგ ჩემპიონატში სამი მატჩი ჩავატარეთ, ორიც თასზე. გუნდს ხუთივე შეხვედრაში ბევრი შეცდომა ჰქონდა და ამ მატჩების შემდეგ ძალიან უკმაყოფილო დავრჩი. ამათგან ყველაზე უარესი კი ბოლო, ცხინვალის „სპარტაკთან“ სათასო თამაში იყო. მართალია, მოვიგეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით, მაგრამ ბევრი ვინერვიულე.

— მიზეზებზე რას გვეტყვით, რატომ არია ასე „დინამოს“ თამაში?

— როგორც გითხარით, მიზეზები ჩემზე უკეთ არავინ იცის. ვფიქრობ, „დინამო“ ცოტა ხანში თვალშისაცემად გააუმჯობესებს თამაშის ხარისხს და იმ დროისთვის, როცა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებთან მატჩები გვექნება, გუნდი პიკზე იქნება. ახლა ჩვენ ნელ-ნელა ვუმატებთ და ერთი-ორი ტურის შემდეგ სტაბილურად და გაცილებით ძლიერად ავთამაშდებით. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ ბევრი გუნდი ისე ვერ გამოიყურება, როგორც დასვენებამდე და პირველი წრის ბოლოსკენ იყო. იმედი მაქვს, ჩვენი გათვლა სწორია და სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. სასურველი შედეგი კი ყველამ კარგად იცის — ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა.

— სეზონის განახლებამდე ორჯერ, ორ-ორი კვირით გუნდი ანთალიაში იყო. ამ შეკრებებისას, რაც დაგეგმილი გქონდათ, ყველაფერი ისე გააკეთეთ?

— საყოფაცხოვრებო, სავარჯიშო თუ ნაყოფიერი მზადებისთვის სხვა პირობები მართლაც იდეალური გვქონდა, მაგრამ შეგვაწუხა იმ პრობლემამ, რაც თავს ახლა იჩენს — ფეხბურთელთა ტრავმებს ვგულისხმობ. დაშავდნენ ნედ ზელიჩი, გიორგი მერებაშვილი, დავით ოდიკაძე, რამდენიმე დღე მაღალი ტემპერატურის გამო გაუცდათ სხვა ფეხბურთელებს, აგერ ახლა ტრავმა მიიღო ჟორჟ აკირემიმ... მოკლედ, ჩემპიონატის მეორე წრეს ისე ვერ შევხვდით, როგორც გვსურდა. ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა, ხოლო როცა მოსამზადებელ პერიოდს სანახევროდ გაივლი, ოპტიმალურ ფორმამდე გარკვეული დრო გჭირდება. ცალკეულ ფეხბურთელთა სათანადოდ მოუმზადებლობა შემდეგ მთლიანად თამაშის ხარისხზეც აისახება, აქედან კი იქმნება გუნდის კარგად შეთამაშების პრობლემა.

— ამჟამად ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზეა გუნდის გაძლიერება სასურველი?

— ჩემპიონატის რეგლამენტი საშუალებას რომ იძლეოდეს, ერთ ფორვარდს დავიმატებდით. მიუხედავად იმისა, რომ მათე ვაწაძე კარგად თამაშობს და „სიონს“ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა, აკირემის ტრავმამ თავდასხმის ხაზში პრობლემები დაგვანახა, თავდასხმას სიმწვავე მოაკლდა...

— ილია სპასოევიჩს რატომ არ იყენებთ ამ პოზიციაზე?

— იმიტომ, რომ გუნდს სპასოევიჩი ფლანგიდან შემტევად სჭირდება. დღესდღეობით ეს ფეხბურთელი ფლანგზე თამაშისას უფრო სასარგებლოა, ვიდრე ცენტრფორვარდად.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები ახსენეთ, მაგრამ არ დაგიკონკრეტებიათ...

— მხოლოდ „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯია“ არა, ჩვენს კონკურენტებად დღესაც ვთვლი „ოლიმპს“ და „ამერს“. მართალია, „ოლიმპთან“ საქმე უკვე მოლეული გვაქვს და სამ გუნდთან კიდევ მეტად მნიშვნელოვანი მატჩები გველის, თუმცა იმედი მაქვს, ამ მეტოქეებთან შეხვედრებამდე გუნდის თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდება. თანაც, „ზესტაფონსა“ და „ამერს“, შესაძლოა, თასის ნახევარფინალშიც შევხვდეთ.

— ასეთი თამაშით ჩემპიონობა და თასის მოპოვება რეალურია?

— გავიმეორებ: ვფიქრობ, მოსამზადებელი პერიოდისას ჩვენ ყველაფერი სწორად გავთვალეთ და გადამწყვეტ მატჩებს „დინამო“ დღევანდელზე გაცილებით ძლიერად ჩაატარებს და ფორმის პიკზეც ყველაზე საჭირო დროს იქნება.

**კობა ინასარიძე**

# განძასარი გადაირჩა!

**სომხური** „განძასარი“ ბოლო დროს ქართველ [illegible] და, შესაბამისად, გულშემატკივრების დაინტერესების საგანი შეიქნა. როგორც ვიცოდით, „განძასარში“ ხუთი ქართველი თამაშობდა, თუმცა ალჩევსკის „სტალთან“ (0:1) გამართულ საკონტროლო მატჩში კიდევ ერთი ჩვენებური — ლევან ბუბუტეიშვილი გამოჩნდა.

გასაკვირი ისაა, რომ ბუბუტეიშვილი მეკარეა. ამ პოზიციაზე კი ერთი ქართველი უკვე ირიცხება გუნდში — გიორგი კობახიძე. ასე რომ, თუ „განძასარმა“ ბუბუტეიშვილი დაიტოვა, ძირითადში მოსახვედრად კონკურენცია ქართველებს შორის იქნება...

დავუბრუნდეთ „სტალთან“ მატჩს: ბუბუტეიშვილმა სრულად ითამაშა, ტრავმამოშუშებული მანუჩარ კვიციანი მეორე ტაიმში შევიდა. გაგა თბილაშვილს, გიორგი კობახიძეს, დავით ხანიშვილსა და მამუკა მენთესაშვილს კი საერთოდ არ უთამაშიათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXIV ტური
შალკე 2:1 დუისბურგი

II ბუნდესლიგა. XXIV ტური
ოფენბახი 2:1 კარლ ცაისი
პადერბორნი 0:1 ალემანია
ვეჰენი 0:2 ლაუტერნი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXV ტური
ემდენი 2:1 ვერდერი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXII ტური
მიუნხენი (მ) 0:2 ზანდჰაუზენი
ინგოლშტადტი 2:0 პფულენდორფი

### ფინეთი

ლიგის თასი
I ჯგუფი. V ტური
ტამპერე 4:1 როვანიემი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური
ლეირია 0:1 გიმარაეში

### ირლანდია

პრემიერლიგა. II ტური
ბოჰემიანსი 0:1 სენტ პატრიკსი
ბრეი 0:2 დუბლინი
დერი 2:1 ფინ ჰარპსი
შემროკი 1:1 კორკი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIX ტური
გრონინგენი 0:1 ჰერენვენი

II დივიზიონი. XXXIII ტური
დენ ბოსხი 0:0 ზვოლე
დორდრეხტი 1:0 ტელსტარი
ეინდჰოვენი 0:1 ვეენდამი
ვოლენდამი 3:0 კამბური
სიტარდი 0:7 მაასტრიხტი
იგლსი 1:2 როზენდალი
ჰაარლემი 0:1 ჰელმონდი
ვალვაიკი 3:0 აპელდორნი
ოსი 1:2 ალმერე

### რუმინეთი

პირველი ლიგა
ბისტრიცა 1:1 დინამო
ფარული 1:1 პოლიტეხნიკა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVIII ტური
აიაჩო 0:1 შატორუ
ანჟერი 1:1 სედანი
ბულონი 1:2 კლერმონი
დიჟონი 2:1 ბასტია
გენგამი 2:1 რეიმსი
მონპელიე 2:0 ამიენი
ტრუა 1:3 ბრესტი
ნიორი 0:3 ლე ავრი

### შვეიცარია

სუპერლიგა. XXV ტური
იანგ ბოისი 3:0 სენტ გალენი

ჩელენჯლიგა. XXIII ტური
ლოზანა 0:0 შაფჰაუზენი

### ავსტრია

ბუნდესლიგა. XXIX ტური
მატერსბურგი 1:0 რაპიდი

I დივიზიონი. XXI ტური
ავსტრია (მ) 0:1 შვანენშტადტი
ლუსტენაუ 4:0 ბად აუზეე
კერნტენი 2:1 ავსტრია (ლ)
პარნდორფი 0:0 გრატკორნი
ზალცბურგი (მ) 1:2 ლეობენი

### პოლონეთი

I ლიგა. XXI ტური
ოდრა 1:0 ბელხატუვი
პოლონია 0:2 კორონა

### რუსეთი

პრემიერლიგა. I ტური
ტერეკი 0:3 კრილია

### ბელგია

იუპილერლიგა. XXVI ტური
ბეერსხოტი 1:2 სტანდარდი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXVI ტური
მანისა 1:1 სივა

### უკრაინა

ვიშა ლიგა
XXI ტური
ხარკოვი 1:1 ტავრია

### სლოვაკეთი

I ლიგა. XXI ტური
სენეცი 1:0 სლოვანი


თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com




# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 17 ტური



სერგი ორბელაძის „ოლიმპს“ ირაკლი კლიმიაშვილის „ვიტ ჯორჯია“ ესტუმრება

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ბორჯომი. 15 მარტი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ბათუმი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ს. სპიცინი, კ. გუდურაშვილი, ვ. გუმბერიძე

გორი. 15 მარტი. 15 საათი. ქართლი

**სპარტაკი — მგლები**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. ბერაძე, კ. ჭაჭუა

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. მერანი

**მერანი — დინამო**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ერქვანია, ზვ. ასკაროლლი

თბილისი. 16 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — ზესტაფონი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. თოდრია, ი. უკლება, ა. ნონიკაშვილი

რუსთავი. 16 მარტი. 15 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ა. კოკაია, ხ. გაგნიძე

გორი. 16 მარტი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე

**დილა — მესხეთი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ო. მოლოდინაშვილი, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

ბოლნისი. 16 მარტი. 15 საათი. თ. სტეფანია

**სიონი — ამერი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, ა. გუნთაძე, ვ. ელისაბედაშვილი

# ვინ უფრო სწრაფია დაღმართში

## ცენტრი რუსთავში, მზე ბოლნისში, მოლოდინი ვაკეში

**საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტური ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს. სეზონი თანდათან დაღმართში მიექანება და გასარკვევი ცხრილის ზედა და ქვედა ნაწილში ჯერ კიდევ ბევრია. მშვიდად ყოფნის უფლება ერთეულებს შერჩენიათ, უმეტესობას კი ქულები ძვირად ულირს და აქედანვე უნდა დაიჭიროს თადარიგი...**

ორ დღედ გაყოფილი ტურის საკვირაო მატჩებში უფრო ცხარე ჯახებია მოსალოდნელი, ტურის მთავარი შეხვედრა კი „ოლიმპი“ — „ვიტ ჯორჯიაა“.

მეორე წრე ორივე გუნდმა კარგად დაიწყო. ერთია, თუ ვეტერინარებმა ყველა მატჩი მოიგეს, „ოლიმპმა“ მხოლოდ ბოლო ტურში წააიბორძიკა „ამერთან“, თუმც „დინამოს“ საგარეო ძლევით ყველას დაანახა, რომ ამბიციები კიდევ შერჩენია. თუ რუსთაველებს სამეულში გასვლა დაუსახავთ მიზნად, „ვიტ ჯორჯიასთან“ სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ. ამ დროს კი რუსთაველები შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდებიან მეტოქეს — მიხეილ მახვილაძე და რევაზ გეწაძე დისკვალიფიცირებულნი არიან, მირზა მერლანსა და დავით ჭიჭვეიშვილს კი ტრავმები აწუხებთ. სათუოა ლევან სილაგაძის თამაშიც, რომელმაც „ზესტაფონთან“ სათასო მატჩში ტრავმა მიიღო და ჯერაც ფეხს იტკივებს.

რუსთავში დანაკლისით ჩავა „ვიტ ჯორჯიაც“. ოღონდ ვეტერინარებს ერთი ფეხბურთელი, დისკვალიფიცირებული საყრდენი ნახევარმცველი ლუკა რაზმაძე არ ეყოლებათ. დანარჩენები მწყობრში არიან და სულაც არ აპირებენ, ლიდერ „დინამოსთან“ ორქულიანი ჩამორჩენა გაზარდონ.

„დინამო“ ვახსენეთ: ლიდერი ერთი დღით ადრე ითამაშებს თანაქალაქელ „მერანთან“ და თითქოს იოლადაც უნდა იმარჯვოს. ეს სათქმელად, თორემ „მერანს“ დალხენილად არ აქვს საქმე, გასავარდნ ზონასთან ტრიალებს და ლიდერთან „ომის“ გამოცხადებას აპირებს. როგორ გამოუვა, ეს უკვე მის მარიფათზეა დამოკიდებული.

ისიც ვთქვათ, რომ ორივე გუნდი ორ-ორი ქულით უსწრებს უშუალო მდევრებს.

„მერანის“ კონკურენტი „ლოკომოტივია“, რომელიც კვირას „ზესტაფონს“ უმასპინძლებს. ეს მატჩი პირველ წრეში რომ გამართულიყო, იმერლები უპირობო ფავორიტები იქნებოდნენ, მაგრამ სიტუაცია ოდნავ შეიცვალა — არც ერთი გუნდი პირველი წრისას არ ჰგავს — „ზესტაფონს“ რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდა, „ლოკომოტივს“ კი შეემატა.

ვაკელებმა რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია დაიმატეს და მათი გამოცდილების იმედად არიან. არ არის გამორიცხული, „ზესტაფონთან“ მატჩში ლევან ცქიტიშვილმაც მოირგოს „ლოკომოტივის“ მაისურა — კლუბში მისი საბუთების მოწესრიგებას წუთი წუთზე ელიან.

„ზესტაფონმა“ კი წინა ტურში მოულოდნელად ქულები დაკარგა „მგლებთან“ და თუ „ლოკომოტივთანაც“ წაიფორხილა, საჩემპიონო ამბიციების გვერდზე გადადება მოუწევს. ამიტომ ვაკეში კარგი სანახაობა უნდა შედგეს.

საკვირაო მატჩებიდან „სიონი“ — „ამერი“, ერთი შეხედვით, თითქოს მშვიდი უნდა იყოს, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში ორივე გუნდს აქვს შანსი, ერთი საფეხურით დაწინაურდეს და ამის გამოყენებას შეეცდებიან.

ფავორიტად მაინც „ამერი“ უნდა მივიჩნიოთ, რომელიც დისკვალიფიცირებული დიმიტრი ტატანაშვილის გარეშე ჩავა ბოლნისში, თუმც იმავე მიზეზით მასპინძლებიც მოისაკლისებენ ბოიომო ფრიდოლინის და მიხეილ კობაურს.

ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ტელეკომპანია „მზის“ ეთერით გადაიცემა.

უშეღავათო ბრძოლა უნდა გაიმართოს გორში, სადაც „დილა“ ახალციხის „მესხეთს“ დაუხვდება.

მესხები შედარებით მშვიდად არიან, ცხრილის შუაგულში ბუდობენ და თითქოს საფრთხეც არსაიდან ემუქრებათ, მაგრამ რაც მალე დაიგულებენ თავს საბოლოოდ სამშვიდობოს, უკეთესი იქნება. ამისთვის კი ქულებია საჭირო და უკეთესი მეტოქე ვინ უნდა ნახონ — „დილას“, აგერ უკვე შვიდი ტურია, გოლი არ გაუტანია.

ქართლელები კი წაგების შემთხვევაში, პირველ ლიგაში დაქვეითების განაჩენს ხელმოსაწერად გაიმზადებენ.

ერთი დღით ადრე გორში ცხინვალის „სპარტაკი“ ზუგდიდის „მგლებს“ უმასპინძლებს.

ცხინვალელებმა ბოლო ტურში „მერანს“ მოუგეს და ბოლო ოთხეულს დაუსხლტდნენ, მაგრამ თუ საშინაო მატჩებში ქულები ანიავეს, სტუმრად საჩუქრად არავინ დაახვედრებს. ამიტომ დასარჩენი ქულების თავმოყრას აქედანვე უნდა შეეცადონ.

„მგლები“ კი გორში ქირიების გარეშე ჩავა — დავითი და გიორგი დისკვალიფიცირებულნი არიან.

ისე ჩანს, მეგრელები ქართლიდან ქულის წაღებითაც კმაყოფილნი დარჩებიან.

ბოლოადგილოსანი „ბათუმი“ კი ზღვისპირეთიდან სამთო კურორტზე ავა და „ბორჯომთან“ ეცდება ქულების მოპოვებას, რაც ჯანიან მასპინძლებთან არცთუ იოლი იქნება.

ბათუმელებს ჯერჯერობით ყველაზე ცოტა ქულა აქვთ, ყველაზე ცოტა გაიტანეს, ყველაზე მეტი წააგეს და ყველაზე მეტი გაუშვეს. არადა, მეორე წრისთვის „ბათუმი“ შედარებით გაძლიერდა, თუმც ცხრილის ფსკერს თავი მაინც ვერ დააღწია.

„ბორჯომთან“ ზღვისპირელები შოთა ბაბუნაშვილს მოისაკლისებენ, რომელიც, სხვათა შორის, პირველ წრეში სადღეისო მეტოქე გუნდში თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42:9 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30:9 | 40 |
| ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 31:9 | 38 |
| ოლიმპი | 16 | 9 | 3 | 4 | 17:11 | 30 |
| ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 26:18 | 28 |
| ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21:15 | 28 |
| მგლები | 16 | 7 | 1 | 8 | 16:19 | 22 |
| მესხეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 16:22 | 21 |
| სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 19 |
| სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7:18 | 15 |
| მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8:25 | 13 |
| ლოკომოტივი | 16 | 3 | 2 | 11 | 9:23 | 11 |
| დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7:28 | 7 |
| ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6:30 | 6 |

### დისკვალიფიცირებულნი

მიხეილ კობაური, ბოიომო ფრიდოლინი (სიონი);

შოთა ბაბუნაშვილი (ბათუმი);

ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია);

ილია სპასოევიჩი (დინამო);

თემურ რაქვიაშვილი, თემურ ლონლაძე (მესხეთი);

მიხეილ მახვილაძე, რევაზ გეწაძე (ოლიმპი);

დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი);

დავით ქირია, გიორგი ქირია (მგლები)

# სანარდო თუ სანავარდო?

## ქართული ფეხბურთის პრობლემები დიაგონალზე არ ეტევა



**თბილისში** იმდენად აღარ, სოფლებში კი იმხანად გლობალური უშუქობა იყო: 1999 წელია, საქართველო — სლოვენიის „დვიჟოკზე“ საყურებლად 30-მდე კაცი შევიკრიბეთ, თუმც ამათგან ნახევარი არ უყურებს — ზოგი დომინოს თამაშობს, ზოგიც — ნარდს...

ერთმა „მაყურებელმა“ მენარდეს უთხრა, გაჩუმდი, შენ ბურთი ყელიანი გოგრა გგონია და ჩვენ მაინც გვაყურებინეო. მენარდემაც კაზურად დაუბრუნა: რას ამბობ, შენ ბრაზილია-არგენტინის საზღვარზე დაგდებული რომ გიპოვონ, ომს დაიწყებენ, გინდა თუ არა, ჩვენი უნდა იყოსო...

არც ერთი და არც მეორე გულშემატკივარი არ გახლდათ, ერთი ჩვენი ხათრით უყურებდა მატჩს, მეორეს კი, საერთოდ, არ აინტერესებდა — ალალად ამბობდნენ კიდეც...

რატომ გამახსენდა ეს ამბავი: „სარბიელში“ გამართულ „მრგვალ მაგიდასთან“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა რომ თქვა — მწვრთნელთა კურსებზე ზოგიერთმა მსმენელმა დიაგონალი არ იცის, რა არისო.

ნამდვილად არ აჭარბებს ახალკაცი. ჰოდა, რომ არ არის ის კაცი ფეხბურთისთვის დაბადებული, რა უნდა სამწვრთნელო კურსებზე?! რალაც ზებუნებრივი ქმნილება უნდა იყოს ის მსმენელი, დიაგონალის არცოდნიდან, თუნდაც ტყიბულის „მეშახტისთვის“ საკადრის მწვრთნელად იქცეს — ვერ ისწავლის! ასეთს ლიცენზიის (სულ ერთია, რომელი კატეგორიის) აღების შანსი არც უნდა მისცე, ისევე, როგორც ის ადამიანი არ უნდა დაასაქმო ფეხბურთში, რომელიც ამბობს, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებისთვის არ მიყურებიაო. არადა, მისი სამსახური პირდაპირ კავშირშია ამასთან...

„მრგვალ მაგიდასთან“ დიდი დრო დაეთმო ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებს და ახალკაცს ვერ შევედავებით იმაში, პირველ რიგში, ასაკის გადაკეთებასთან ბრძოლა იყო საჭიროო. ყველამ იცის, რომ ადრე 17 წლის ბიჭს 15-წლიანებში შეეძლო თამაში. ერთხელ ახალკაცმა თავად გვითხრა ერთ-ერთ ჭაბუკ ლეგიონერზე, 3 წელი აქვს მოპარული და ამიტომ აღარ გამოვიძახებთ რომელიმე ასაკობრივ ნაკრებშიო — კარგია, მივესალმებით.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ბავშვების რაოდენობა — არანაკლები, ვიდრე ის, ხელოვნურ საფარზე ვარჯიშობ თუ ბუნებრივზე. ზოგიერთ საფეხბურთო სკოლაში ერთ ვარჯიშზე 60-70 ბავშვი იყრის თავს და ზოგი ისე მიდის სახლში, იმ დღეს ბურთს საერთოდ ვერ ეხება. და, რატომ არის ამდენი ბავშვი ერთად, ძნელი მისახვედრი არც ეს გახლავთ.

მწვრთნელი ბევრ ფულს იღებს მშობლებისგან. ვფიქრობ, ესეც უნდა გაკონტროლდეს ასაკობრივი ცენზის მსგავსად და ასეთ სკოლებს ვარსკვლავი არ მისცენ.

კიდევ რა უნდა გაკონტროლდეს და, ეროვნულ ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშები. პირადად მე, ზოგ მატჩზე წასვლა ჭირივით მძულს, რადგან დიდი ეჭვი მაქვს, რომ „სუფთა“ არ იქნება.

პირდაპირი მესიჯი ახალკაცს — როცა „მრგვალ მაგიდასთან“ ამბობს, ჩაწყობილი თამაშების ამოსაცნობი მექანიზმი არ გაგვაჩნია და რას ვიზამთო, ასეც არ არის — სად-სად და, ჩვენს ქვეყანაში მოსამენი აპარატების სისტემა მშვენივრად მუშაობს, დავაყენებდი თუნდაც გასახდელში, მკაცრად გავაკონტროლებდი ფეხბურთელთა მოქმედებებს... იტალიაში როგორ მოხერხდა? არა მგონია, სად იტალია და სად — საქართველოო, სწორი არგუმენტი იყოს. აქაც მოხერხდება. ერთი-ორი კაცი რომ მკაცრად დაისჯება, მერე სხვებიც ისწავლიან ჭკუას.

ახალკაცს იმაში ვეთანხმები, რომ როცა კერძო ინვესტორების ხელში გადავლენ კლუბები, მერე შემცირდება გარიგებების რაოდენობაო.

აი, მივადექით მთავარ პრობლემასაც...

რატომ არის შეჩერებული სახელმწიფო-საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც თებერვლიდან უნდა ამუშავებულიყო? პროგრამას როგორ დაიწუნებ, იცოცხლეთ, კარგია ხარისხიანი მოედნები და ფულიანი კლუბები და, რაც მალე იქნება, მით უკეთესი. სახელმწიფოს გარეშე ფეხბურთი შორს ვერ წავა — მაყურებელიც მაშინ მოვა სტადიონზე, როცა ხარისხიან მინდორზე ხარისხიან ფეხბურთს ნახავს.

მე სხვანაირად არ მესმის, ძალით როგორ უნდა მიიყვანო კაცი თამაშზე...

მერწმუნეთ, თამაშზე დასასწრებ 2 ლარს არც არავინ დაუფრთხია და არც მოუზიდავს. მოწმე ვარ, რომ უმეტესობა მაინც უფასოდ შედის საყურებლად.

„კაი, რა, ძია, მაინც არაფერი ხდება“ — ეუბნებიან, დარაჯიც ღიმილით ეთანხმება და უშვებს...

და, რას მოაქვს ხარისხი? ფულს! სახელმწიფო პროგრამა რომ ამუშავდება, მერე ჩვენი გუნდები „არსენალისა“ და „ლივერპულის“ ტემპში ითამაშებენო, ცხადია, ამის ილუზია არავის გვაქვს. მაგრამ ისიც ცხადია, ეს ეროვნული ჩემპიონატის დონეს გაზრდის და ნელნელა, ერთი ლევან ყენია კი არა, ვეჭვობ, წელიწადში ხუთი ლევან ყენია გაჩნდება. ეს კი ეროვნულ ნაკრებსაც არგებს, რომელიც ფეხბურთის ფედერაციისთვის ათვლის წერტილია.

„მრგვალ მაგიდასთან“ ახალკაცს ცხარედ ეკამათა მუსიკათმცოდნე გია ბალაშვილი, მათ შორის, ფედერაციის თვითკმაყოფილებაზე. ვეთანხმები ბალაშვილს, ფედერაციის ხელმძღვანელებისგან ჯერ ერთხელაც არ მოგვისმენია თვითკრიტიკა, პირიქით: რეიტინგში ავიწიეთ; თურქეთთან ალენ ჟირესის გაწვრთნილმა ნაკრებმა 2:5 წააგო, ჩვენ კი 1:0 მოვიგეთ... არ მგონია, რომ ეს უკამათოდ მისაღები არგუმენტები იყოს: საქართველოს ნაკრებმა იმიტომ აიწია რეიტინგში, რომ ფიფამ დათვლის სისტემა შეცვალა. ეს სისტემა მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას რომ ყოფილიყო, მაშინაც პირველ ასეულში ვიქნებოდით. ხოლო თურქეთის მაგალითი რომ მოჰყავს ახალკაცს, მაშინ ისიც ვთქვათ, რომ ტოპმიოლერის ნაკრებმა ორჯერ წააგო ლიტვასთან, რომელსაც არცთუ შორეულ წარსულში სხვა მწვრთნელის ხელში შინ და სტუმრად დამაჯერებლად ვძლიეთ. თანაც თურქებს ამხანაგურად ვეთამაშეთ, ლიტვასთან კი ოფიციალური მატჩები იყო.

„ნაკრების მწვრთნელი წნეხში უნდა იყოს, მისხალი შეცდომაც კი არ უნდა ეპატიოს“ — ესეც ბალაშვილის სიტყვებია. მისხალი შეცდომის არპატიებისა რა გითხრათ, მაგრამ წნეხში კი ნამდვილად უნდა იყოს.

ამასწინათ ერთი ადამიანი მეკამათებოდა, ტოპმიოლერზე ასე როგორ ლაპარაკობ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათამაშა გუნდიო.

ერთხელ მარჩელო ლიპიმ თქვა, მე, შესაძლოა, იტალიისთვის კარგი მწვრთნელი ვიყო, ალჟირისთვის კი ცუდიო. შედეგიდანაც და თამაშიდანაც ხომ კარგად ჩანს, რომ ტოპმიოლერის ხელში ნაკრებმა პროგრესი ვერ ნახა, მაგრამ ფედერაციამ გადაწყვიტა მასთან კონტრაქტის გაგრძელება და გაცილებით ეფექტური პუნქტით: ეტაპების მიხედვით.

ფედერაციის არგუმენტი ცხადია — ნაკრებში წამოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მომდევნო შესარჩევში უფრო მაგრები იქნებიან და შედეგზეც აისახება. ანუ, გზა არჩეულია და ვერ დავეთანხმები ივო შუშაკს, რომელიც ამბობს, მწვრთნელი იმიტომ ათამაშებს ახალგაზრდებს, რათა მერე ალიბი ჰქონდეს, აი, ხომ ხედავთ, ბავშვები მყავდნენ და შედეგს როგორ მოითხოვთო...

არ ვეთანხმები იმიტომ, რომ ტოპმიოლერს კონკრეტულად ამაზე არ დაუწუწუნია და ყველანაირი გზა უნდა მოვუჭრათ, რათა მომავალშიც არ დაიწუწუნოს. ათამაშებს ქობიას და მჭედლიძეს? არ მაინტერესებს მათი ბავშვობა, სკოლის მერხი და ფიზიკის სახელმძღვანელო, ტოპმიოლერმა ცუდი შედეგისთვის პასუხისმგებლობა უნდა იკისროს.

დრო გვანახებს, სწორი იყო თუ არა ჰერ კლაუსის დატოვება ნაკრებში — ჯერ ძნელია ლაპარაკი, მაგრამ ლატვიასთან მატჩმა დიდი კითხვის ნიშანი კი გააჩინა.

მთავარი: ტოპმიოლერმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნაკრებისთვის გამოსადეგ ყველა ფეხბურთელს.

„მრგვალ მაგიდასთან“ იკამათეს შარშანდელი 13 მაისის [illegible] ამბავზეც, როცა გიორგი ნემსაძემ სფფ-ის მოგებული პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გადადგომაზე განაცხადა. ბალაშვილმა ახალკაცს „ურჩია“, იქნებ, ქვეყნის პრეზიდენტის კვალს გაჰყვეთ და ვადამდელი, ხელახალი არჩევნები დანიშნოთ, რათა გამჭირვალე და სამართლიანი იყოს ყველაფერიო.

ახალკაცის პასუხი ლოგიკიდან ამოვარდნილი არ ყოფილა: ამის აუცილებლობა იურიდიულად არ არსებობსო.

გიჟი უნდა ყოფილიყო რომელიმე ჟურნალისტი ან ქომაგი, ვისაც 13 მაისს მომხდარი ამბავი მოეწონებოდა. ხალხი ითხოვს პასუხს, რატომ გადადგა ნემსაძე, ის კი დუმს.

აი, სწორედ აქ ვართ: ყველაფრის მიჩუმათება და დამალვა საქართველოში, ამ შემთხვევაში კი ქართულ ფეხბურთში, გამოუვალობის სენია. ჩემი სფეროდან ვიტყვი — ხშირად ყოფილა, ინტერვიუში რესპონდენტს ბევრი რამ წყენით გადმოუფრქვევია, მაგრამ ბოლოს უთხოვია, ყველაფერი არ დაწეროო. რატომ? იმიტომ, რომ ეშინია ან ხათრი აქვს ვინმესი...

მე ამ დროს უხერხულად ვგრძნობ თავს, თუმც ჩემზე უხერხულ მდგომარეობაში მყოფი ის რესპონდენტი მგონია.

თუმც ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და „მრგვალ მაგიდასთან“ ნაუბარს დავუბრუნდეთ, სადაც რაგბი და ფეხბურთიც შეადარეს, კერძოდ, მორაგბეებსა და ფეხბურთელებს შორის განსხვავებულ სულისკვეთებაზე ითქვა. მე სპეციფიკის ამბავი უფრო მგონია — მორაგბეებს უყვართ სამშობლო და ფეხბურთელებს არაო, ეს არასერიოზული უნდა იყოს...

**ილია ნანობაშვილი**



# რევიშვილი მენისკმა გერმანიაში ჩაიყვანა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 26 მარტს ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს რომ გაეჯიბრება, გეცოდინებათ. კლაუს ტოპმიოლერმა საამხანაგო სიაც გამოაქვეყნა და შეამჩნევდით, რომ გამოძახებულთა შორის არ არის ყაზანი „რუბინის" მეკარე ნუკრი რევიშვილი. ამის მიზეზი კი რევიშვილის ტრავმაა. „რუბინმა" სეზონისწინა ბოლო შეკრება თურქეთში გაიარა და სწორედ იქ ასტკივდა ქართველ ფეხბურთელს ფეხი — 7 მარტს რევიშვილი გერმანიაში ჩავიდა და მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ნუკრის გუშინ სწორედ გერმანიაში შევეხმიანეთ...

— ტრავმა საკონტროლო მატჩში მიიღე?

— არა, ვარჯიშზე ვიგრძენი ტკივილი. მოგეხსენებათ, რუსეთში ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევენ — ჩემი მუხლიც ვარჯიშებზე გადაიტვირთა და, სამწუხაროდ, საოპერაციო გავხდი.

— სად გაიკეთე ოპერაცია და როგორ ჩაიარა?

— მიუნხენიდან 10 კილომეტრში, პატარა ქალაქ რეგენსბურგში. ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა. ახლა რეაბილიტაციის კურსს გავდივარ და კიდევ ხუთი დღე აქ ვიქნები.

— მიუნხენთან ახლოს ხარ და ალბათ მათე ღვინიანიძემაც მოგინახულა...

— რა თქმა უნდა, თითქმის სულ ერთად ვართ. ახლა ხომ მათეც მკურნალობს და ერთმანეთს ვამხნევებთ.

— ექიმები რას გეუბნებიან, ვარჯიშს როდის განაახლებ?

— რეაბილიტაციის კურსის დასულების შემდეგ ყაზანში დავბრუნდები და ვარჯიშს ხუთ კვირაში დავიწყებ.

— „რუბინში" რა სიტუაციაა?

— ახალი სეზონისთვის საკმაოდ გავძლიერდით და ჩემი აზრით, ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ვიქნებით.

— რა მიზნები დაგისახეს კლუბის ხელმძღვანელებმა?

— ხუთეულში უნდა შევიდეთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# დარასელია ალექსიძეს თავიდან შეუამხანაგდა

## თავის ჯერს ელის ცქიტიშვილიც...



გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ, შესაძლოა, თბილისის „ლოკომოტივმა" ვიტალი დარასელია შეიმატოს. ახლა დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ — ვიტალი დარასელია სეზონის ბოლომდე „ლოკომოტივში" ითამაშებს.

გუშინ მოლდოვურმა „დაჩიამ", სადაც ბოლოს ვიტალი თამაშობდა, სატრანსფერო ფურცელი გამოაგზავნა — იგი თავისუფალია და „ზესტაფონთან" ხვალინდელ მატჩშიც ითამაშებს.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს" უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროება აქვს და გაძლიერება სჭირდება. ცოტა ხნის წინ რატი ალექსიძე შეიმატეს, ახლა — ვიტალი დარასელია და, როგორც ამბობენ, მათ მალე ლევან ცქიტიშვილი შეუერთდებათ, ვინც ასევე სატრანსფერო ფურცელს ელის საბერძნეთიდან.

ასე რომ, ხვალ „მიხეილ მესხზე" საინტერესო ამბებს უნდა ველოდოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

## 1990 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

მე-15 ტური

ზესტაფონი 2:2 მართვე
ბათუმი 3:2 მგლები
დილა 4:0 მესხეთი
ბორჯომი 5:0 სპარტაკი

მე-16 ტური

სპარტაკი 0:2 მართვე
მგლები 1:1 ზესტაფონი
მესხეთი 1:3 ბათუმი
ბორჯომი 5:4 დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 16 | 12 | 3 | 1 | 50:19 | 39 |
| ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 34:14 | 38 |
| მართვე | 16 | 11 | 2 | 3 | 43:23 | 35 |
| მგლები | 16 | 6 | 3 | 7 | 28:22 | 21 |
| ბათუმი | 16 | 6 | 1 | 9 | 27:32 | 19 |
| დილა | 16 | 5 | 2 | 9 | 24:37 | 17 |
| სპარტაკი | 16 | 5 | 1 | 10 | 24:39 | 16 |
| მესხეთი | 16 | 0 | 0 | 16 | 16:60 | 0 |

### ცენტრალური ზონა

მე-15 ტური

იმედი 1:4 მერანი
თ. ს. აკადემია 0:1 მთ. გლობუსი
დინამო 4:0 ოლიმპიკი
ამერი 1:0 35-ე სკოლა

მე-16 ტური

35-ე სკოლა 1:1 მერანი
მთ. გლობუსი 1:1 იმედი
ოლიმპიკი 1:0 თ. ს. აკადემია
ამერი 0:1 დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 2 | 2 | 53:18 | 38 |
| მერანი | 16 | 8 | 5 | 3 | 34:21 | 29 |
| ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 35:16 | 28 |
| ოლიმპიკი | 16 | 8 | 2 | 6 | 31:27 | 26 |
| 35-ე სკოლა | 16 | 7 | 3 | 6 | 29:31 | 24 |
| მთ. გლობუსი | 16 | 4 | 4 | 8 | 21:40 | 16 |
| თ. ს. აკადემია | 16 | 4 | 1 | 11 | 14:32 | 13 |
| იმედი | 16 | 1 | 4 | 11 | 11:43 | 7 |

### აღმოსავლეთი ზონა

მე-15 ტური

ლოკომოტივი 1:1 ნორჩი დინამო
ვიტ ჯორჯია 2:1 ოლიმპი
ერთობა 1:2 ოლიმპი 2
ავაზა 4:0 სიონი

მე-16 ტური

სიონი 3:2 ნორჩი დინამო
ოლიმპი 1:2 ლოკომოტივი
ოლიმპი 2 2:1 ვიტ ჯორჯია
ავაზა 3:0 ერთობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 16 | 13 | 1 | 2 | 46:19 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 12 | 0 | 4 | 34:9 | 36 |
| ნ. დინამო | 16 | 9 | 2 | 5 | 47:26 | 29 |
| ოლიმპი 2 | 16 | 8 | 0 | 8 | 37:34 | 24 |
| ოლიმპი | 16 | 8 | 0 | 8 | 32:32 | 24 |
| ავაზა | 16 | 5 | 0 | 11 | 33:53 | 15 |
| სიონი | 16 | 4 | 1 | 11 | 28:51 | 13 |
| ერთობა | 16 | 3 | 0 | 13 | 15:48 | 9 |

## 1991 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

მე-15 ტური

მართვე 0:0 ზესტაფონი
მგლები 0:0 ბათუმი
მესხეთი 1:4 დილა
სპარტაკი 1:1 ბორჯომი

მე-16 ტური

მართვე 1:0 სპარტაკი
ზესტაფონი 3:2 მგლები
ბათუმი 4:1 მესხეთი
დილა 0:1 ბორჯომი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 16 | 12 | 4 | 0 | 37:12 | 40 |
| ზესტაფონი | 16 | 9 | 6 | 1 | 29:15 | 33 |
| მართვე | 16 | 7 | 3 | 6 | 13:13 | 24 |
| მგლები | 16 | 6 | 5 | 5 | 27:16 | 23 |
| ბორჯომი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:15 | 23 |
| სპარტაკი | 16 | 4 | 5 | 7 | 20:16 | 17 |
| დილა | 16 | 3 | 6 | 7 | 15:20 | 15 |
| მესხეთი | 16 | 0 | 0 | 16 | 10:64 | 0 |

### ცენტრალური ზონა

მე-15 ტური

მერანი 4:2 იმედი
მთ. გლობუსი 2:1 თ. ს. აკადემია
ოლიმპიკი 0:5 დინამო
35-ე სკოლა 1:0 ამერი

მე-16 ტური

მერანი 1:1 35-ე სკოლა
თ. ს. აკადემია 2:1 ოლიმპიკი
დინამო 0:0 ამერი
იმედი — მთ. გლობუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 16 | 12 | 2 | 2 | 31:12 | 38 |
| დინამო | 16 | 11 | 3 | 2 | 32:5 | 36 |
| თ. ს. აკადემია | 16 | 9 | 3 | 4 | 21:11 | 30 |
| მერანი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:12 | 28 |
| ოლიმპიკი | 16 | 7 | 1 | 8 | 23:30 | 22 |
| ამერი | 16 | 4 | 4 | 8 | 13:17 | 16 |
| მთ. გლობუსი | 15 | 3 | 0 | 12 | 14:31 | 9 |
| იმედი | 15 | 0 | 1 | 14 | 6:45 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა

მე-15 ტური

ნორჩი დინამო 0:0 ლოკომოტივი
ოლიმპი 3:2 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 2 0:2 ერთობა
სიონი 4:0 ავაზა

მე-16 ტური

ნორჩი დინამო 3:0 სიონი
ლოკომოტივი 0:2 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 3:0 ოლიმპი 2
ერთობა 1:1 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 16 | 14 | 1 | 1 | 73:12 | 43 |
| ნ. დინამო | 16 | 11 | 3 | 2 | 49:10 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 2 | 4 | 40:22 | 32 |
| სიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:40 | 22 |
| ერთობა | 16 | 6 | 4 | 6 | 21:26 | 22 |
| ლოკომოტივი | 16 | 4 | 2 | 10 | 17:27 | 14 |
| ოლიმპი 2 | 16 | 2 | 1 | 13 | 16:57 | 7 |
| ავაზა | 16 | 0 | 5 | 11 | 9:52 | 5 |

## 1992 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

მე-15 ტური

მართვე 1:3 ზესტაფონი
მგლები 2:1 ბათუმი
მესხეთი 1:4 დილა
სპარტაკი 4:0 ბორჯომი

მე-16 ტური

მართვე 5:0 სპარტაკი
ზესტაფონი 4:1 მგლები
ბათუმი 0:3 მესხეთი
დილა 6:0 ბორჯომი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 16 | 15 | 0 | 1 | 60:13 | 45 |
| მგლები | 16 | 11 | 1 | 4 | 33:24 | 34 |
| მართვე | 16 | 8 | 3 | 5 | 29:17 | 27 |
| ზესტაფონი | 16 | 7 | 5 | 4 | 35:19 | 26 |
| სპარტაკი | 16 | 6 | 3 | 7 | 21:33 | 21 |
| ბათუმი | 16 | 3 | 3 | 10 | 20:32 | 12 |
| ბორჯომი | 16 | 3 | 1 | 12 | 14:40 | 10 |
| მესხეთი | 16 | 3 | 0 | 13 | 18:52 | 9 |

### ცენტრალური ზონა

მე-15 ტური

მერანი 2:0 იმედი
მთ. გლობუსი 2:1 თ. ს. აკადემია
ოლიმპიკი 0:4 დინამო
35-ე სკოლა 1:0 ამერი

მე-16 ტური

მერანი 1:2 35-ე სკოლა
თ. ს. აკადემია 1:1 ოლიმპიკი
დინამო 3:0 ამერი
იმედი — მთ. გლობუსი გად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 4 | 0 | 52:7 | 40 |
| 35-ე სკოლა | 16 | 10 | 3 | 3 | 40:18 | 33 |
| მერანი | 16 | 8 | 4 | 4 | 35:16 | 28 |
| მთ. გლობუსი | 15 | 7 | 2 | 6 | 28:41 | 23 |
| ოლიმპიკი | 16 | 5 | 3 | 8 | 25:36 | 18 |
| ამერი | 16 | 5 | 2 | 9 | 27:31 | 17 |
| თ. ს. აკადემია | 16 | 3 | 3 | 10 | 12:38 | 12 |
| იმედი | 15 | 2 | 1 | 12 | 14:46 | 7 |

### აღმოსავლეთი ზონა

მე-15 ტური

ნორჩი დინამო 2:3 ლოკომოტივი
ოლიმპი 2:2 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 2 5:1 ერთობა
სიონი 1:3 ავაზა

მე-16 ტური

ნორჩი დინამო 3:0 სიონი
ლოკომოტივი 0:2 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 1:1 ოლიმპი 2
ერთობა 0:1 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 16 | 13 | 1 | 2 | 69:6 | 40 |
| ლოკომოტივი | 16 | 10 | 3 | 3 | 37:13 | 33 |
| ავაზა | 16 | 10 | 2 | 4 | 28:22 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 7 | 4 | 5 | 34:26 | 25 |
| ოლიმპი 2 | 16 | 7 | 4 | 5 | 22:21 | 25 |
| ნ. დინამო | 16 | 6 | 1 | 9 | 29:38 | 19 |
| სიონი | 16 | 2 | 0 | 14 | 12:54 | 6 |
| ერთობა | 16 | 1 | 1 | 14 | 17:68 | 4 |

# საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

მე-13 ტური

მაუდი 0:3 კახეთი 2
დურუჯი 1:2 სამგორი
გარეჯი 0:1 სიონი 2
ბახტრიონი 2:2 ოლიმპი 3
ალგეთი 3:2 ჰერეთი
ზოოვეტი 1:0 ქიზიყი

მე-14 ტური

ქიზიყი 4:1 კახეთი 2
ჰერეთი 10:0 ბახტრიონი
ოლიმპი 3 1:3 გარეჯი
სიონი 2 3:0 დურუჯი
სამგორი 0:4 ზოოვეტი
ალაზანი 0:1 ალგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალგეთი | 14 | 10 | 3 | 1 | 31:13 | 33 |
| ქიზიყი | 14 | 10 | 2 | 2 | 46:13 | 32 |
| ჰერეთი | 14 | 9 | 4 | 1 | 33:8 | 31 |
| ზოოვეტი | 14 | 10 | 1 | 3 | 33:10 | 31 |
| სიონი 2 | 14 | 8 | 3 | 3 | 35:13 | 27 |
| სამგორი | 14 | 6 | 3 | 5 | 25:18 | 21 |
| გარეჯი | 14 | 5 | 4 | 5 | 26:17 | 19 |
| ალაზანი | 13 | 5 | 1 | 7 | 19:20 | 16 |
| ოლიმპი 3 | 14 | 4 | 4 | 6 | 21:29 | 16 |
| დურუჯი | 14 | 4 | 0 | 10 | 16:33 | 12 |
| კახეთი 2 | 14 | 2 | 3 | 9 | 14:33 | 9 |
| მაუდი | 13 | 2 | 1 | 10 | 13:37 | 7 |
| ბახტრიონი | 14 | 0 | 1 | 13 | 7:75 | 1 |

### ცენტრალური ზონა

მე-13 ტური

მერანი 2 2:0 აწყური
ლიახვი 0:3 ორბები
დუშეთი 2:0 35-ე სკოლა
გაგრა 2 0:2 ნორჩი დინამო
ბორჯომი 2 3:0 სპარტაკი 2
ლოკომოტივი 2 0:0 სპარტაკი

მე-14 ტური

ნორჩი დინამო 6:0 დუშეთი
ორბები 2:1 ლოკომოტივი 2
35-ე სკოლა 3:1 ლიახვი
სპარტაკი 2 3:1 გაგრა 2
ამერი 3 1:1 ბორჯომი 2
სპარტაკი 3:1 მერანი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორჩი დინამო | 14 | 12 | 1 | 1 | 41:10 | 37 |
| ორბები | 14 | 12 | 0 | 2 | 33:10 | 36 |
| სპარტაკი 2 (ცხ) | 14 | 10 | 0 | 4 | 30:19 | 30 |
| 35-ე სკოლა | 14 | 7 | 2 | 5 | 31:24 | 23 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 21:21 | 21 |
| ამერი 3 | 13 | 5 | 5 | 3 | 13:8 | 20 |
| სპარტაკი (თბ) | 14 | 5 | 2 | 7 | 18:18 | 17 |
| გაგრა 2 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:21 | 15 |
| მერანი 2 | 14 | 4 | 3 | 7 | 20:31 | 15 |
| ბორჯომი 2 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:29 | 14 |
| დუშეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 16:32 | 11 |
| ლიახვი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:34 | 10 |
| აწყური | 13 | 2 | 0 | 11 | 13:32 | 6 |

### დასავლეთი ზონა

მე-12 ტური

გაგრა 3 2:0 სქური
გურია 0:0 მერცხალი
ბათუმი 2 2:1 მარტვილი 2
იბერია XXI 1:0 მაღაროელი 2
იმერეთი 3:0 მარგვეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 12 | 8 | 3 | 1 | 21:10 | 27 |
| ბაია | 11 | 8 | 2 | 1 | 24:10 | 26 |
| მარტვილი 2 | 12 | 7 | 2 | 3 | 26:15 | 23 |
| იბერია XXI | 12 | 6 | 1 | 5 | 15:17 | 19 |
| გაგრა 3 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 18 |
| სქური | 12 | 5 | 2 | 5 | 22:16 | 17 |
| იმერეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:17 | 12 |
| მაღაროელი 2 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:15 | 12 |
| მარგვეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 19:25 | 12 |
| ტორპედო 2 | 11 | 2 | 5 | 4 | 8:12 | 11 |
| მერცხალი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:17 | 10 |
| ბათუმი 2 | 12 | 3 | 1 | 8 | 10:25 | 10 |

# არსენალი — ლივერპული: კვირაში სამჯერ

### ჩემპიონთა ლიგა

**მეოთხედფინალის წილისყრა**

**არსენალი** (ინგლისი) — **ლივერპული** (ინგლისი)
**რომა** (იტალია) — **მანჩესტერი** (ინგლისი)
**შალკე** (გერმანია) — **ბარსელონა** (ესპანეთი)
**ფენერბაჰჩე** (თურქეთი) — **ჩელსი** (ინგლისი)

*პირველი მატჩები 1-2 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 8-9 აპრილს.*

**ნახევარფინალის წილისყრა**

**არსენალი/ლივერპული — ფენერბაჰჩე/ჩელსი**
**რომა/მანჩესტერი — შალკე/ბარსელონა**

*პირველი მატჩები 22-23 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 29-30 აპრილს.*

*ფინალი 21 მაისს მოსკოვში გაიმართება.*

### უეფას თასი

**მეოთხედფინალის წილისყრა**

**ლევერკუზენი** (გერმანია) — **ზენიტი** (რუსეთი)
**რეინჯერსი** (შოტლანდია) — **სპორტინგი** (პორტუგალია)
**ბაიერნი** (გერმანია) — **ხეტაფე** (ესპანეთი)
**ფიორენტინა** (იტალია) — **პსვ** (ჰოლანდია)

*პირველი მატჩები 3 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 10 აპრილს.*

**ნახევარფინალის წილისყრა**

**ბაიერნი/ხეტაფე — ლევერკუზენი/ზენიტი**
**რეინჯერსი/სპორტინგი — ფიორენტინა/პსვ**

*პირველი მატჩები 24 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 1 მაისს.*
*ფინალი 14 მაისს მანჩესტერში გაიმართება.*

**მეოთხედფინალში** ოთხი პრემიერლიგელის გასვლის გამო დიდი შანსი იყო, რომ ინგლისური კლუბები ერთმანეთს დაეჯახებოდნენ და ასეც მოხდა. ლეგენდარულმა საბჭოელმა გოლკიპერმა რინატ დასაევმა „არსენალი“ „ლივერპულს“ შეახვედრა.

ამ გუნდების ქომაგები აპრილის დასაწყისში არ მოიწყენენ, რადგან „არსენალ“ — „ლივერპულს“... სამჯერ ნახავენ. 5 აპრილს პრემიერლიგის ტურში არსენ ვენგერის „მეთოფეები“ რაფაელ ბენიტესის „წითლებს“ უმასპინძლებენ. ამ მატჩამდე და მის შემდეგ კი (პირველ და რვა აპრილს) გუნდებს შორის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მატჩები გაიმართება.

„ლივერპულის“ აღმასრულებელმა შეფმა რიკ პერიმ განაცხადა: „იმედი მქონდა, რომ ინგლისურ კლუბს ავცდებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. „არსენალს“ აპრილში ჩემპიონატშიც ვეთამაშებით და ზედიზედ სამი მატჩი გამოგვივა. ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ და ვფიქრობ, გულშემატკივრები კარგ ფეხბურთს ნახავენ. სასიხარულო ერთადერთი ისაა, რომ „ფენერბაჰჩე“ არ შეგვხვდა და სტამბოლში ჩასვლა აგვცდა“.

„არსენალის“ დირექტორი კიტ ედელმანი: „ლივერპული“ დიდებული გუნდია და რაფაელ ბენიტესის ხელში ჩემპიონთა ლიგაში განსაკუთრებით კარგად თამაშობს. ჩვენ კი ის გვახარებს, რომ „მილანს“ „სან სიროზე“ მოვუგეთ და თავდაჯერებულობა შეგვემატა. ასეთი მეტოქის ძლევის შემდეგ ფინალში გასვლის სურვილი გაგვიორმაგდა“.

არსენ ვენგერი: „მერვედფინალში ჩემპიონთა თასის მფლობელი დავამარცხეთ, მეოთხედფინალში კი ფინალისტს ვხვდებით. თუ „მილანს“ მოვუგეთ, რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ იგივე „ლივერპულთან“? ცხადია, იდეალური იქნებოდა, პრემიერლიგელს რომ არ შევხვედროდით, მაგრამ ჩემი გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლოდ მზადაა“.

„მანჩესტერს“ „რომა“ შეხვდა და, რაღა თქმა უნდა, რომაელები რევანშზე ალაპარაკდნენ. წინა სეზონში ეს გუნდები მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. „სტადიო ოლიმპიკოზე“ მასპინძლებმა 2:1 მოიგეს, მაგრამ „ოლდ ტრეფორდზე“ საპასუხოში „მანჩესტერმა“ კოშმარი მოუწყო — 7:1 გაანადგურა.

„ალბათ ბედია, რომ ერთმანეთს ისევ შევხვდით — თქვა „რომას“ ჩილელმა დავიდ პისარომ — ამას ველოდით და გული გვიგრძნობდა. „მანჩესტერი“ კარგ ფორმაშია, მაგრამ ჩვენც არ გვაქვს ურიგო სეზონი“

შარშანდელ მატჩში შვიდი გოლის გამშვებმა მეკარემ ალეშანდრე დონიმ განაცხადა: „ეს იქნება კიდევ ორი ძალიან რთული თამაში. მაშინ „ოლდ ტრეფორდზე“ უსუსურები ვიყავით, მაგრამ ამჯერად „რომა“ უფრო გამოცდილია. ვიცი, რომ რამდენიმე ჩემი თანაგუნდელი „მანჩესტერთან“ შეხვედრას ნატრობდა, რადგან რევანში სწყურიათ. მადრიდში „რეალის“ დამარცხებით საკუთარი ძალა ვირწმუნეთ და ახლა მეტად იმედიანად ვართ. მიმაჩნია, რომ შარშან „მანჩესტერი“ კრიშტიანუ რონალდუზე იყო დამოკიდებული, ახლა კი უფრო გუნდურად თამაშობს. ჩემი აზრით, ყველაზე სახიფათო მაინც უეინ რუნია. ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელია“.

„მანჩესტერის“ მდივანი კენ რამსდენი. „ჩვენთვის წილისყრა კარგი იყო და მიხარია, რომ პრემიერლიგელი არ შეგვხდა. პირველი მატჩი სტუმრად გვაქვს და ესაც უპირატესობას გვაძლევს“.

ალექს ფერგიუსონი: „დაუჯერებელია, რომ კვლავ „რომას“ გადავეყარეთ. გული მიგრძნობდა, ინგლისურ კლუბს შევხვდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. გამოდის, რომ „რომას“ ერთ წელიწადში ექვსჯერ ვეთამაშებით. მოკლედ, საინტერესო წყვილია, რადგან ერთმანეთი უკვე კარგად გავიცანით“.

„მანჩესტერი“ და „რომა“ ჯგუფშიც ერთად იყვნენ. იტალიაში მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა, ხოლო ინგლისში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

„ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კენიონი „ფენერბაჰჩესთან“ დაწყვილებით კმაყოფილი დარჩა. „კარგია, რომ პრემიერლიგელი არ გვერგო, მაგრამ „ფენერბაჰჩეს“ შეუფასებლობიც არ ეგების. მეოთხედფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს. ჩვენ აქამდე ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ და ვფიქრობ, რომ ორი სანახაობრივი მატჩი გამოგვივა“.

„ფენერბაჰჩეს“ ვიცე-პრეზიდენტი ნეშეთ იალჩინი: „ვიცი, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ნებისმიერ გუნდს უჭირს, მაგრამ ჩვენ მოტივაცია არ გვაკლია. უეფას თასის ორგზის მომგები „სევილია“ დავამარცხეთ და ამჟამად კარგ ფორმაში ვართ. „ჩელსის“ დაცვა ძალიან ძლიერია, მაგრამ სტამბოლში გოლი აუცილებლად უნდა გავიტანოთ“.

„ბარსელონა“ წინა სეზონებში „ლივერპულთან“ და „ჩელსისთან“ რომ დამარცხდა, ახლა სწორედ ეგ ახარებს — ინგლისელებს ავცდითო, ხოლო „შალკე“ ამ ეტაპამდე მისვლითაც კმაყოფილია და ნახევარფინალში თუ გააღწიეს, ხომ გმირობა იქნება.

უეფას თასს შემორჩენილი ორი გერმანული გუნდი კი წილისყრამ არ გაიმეტა და მეოთხედფინალში არ შეახვედრა ერთმანეთს, მაგრამ „ბაიერნ“-„ხეტაფესა“ და „ლევერკუზენ“-„ზენიტს“ შორის გამარჯვებულები ნახევარფინალში დაეჯახებიან. მოკლედ, მაინც არსებობს ბუნდესლიგელების შეხვედრის შანსი.

„ხეტაფე“ უეფას თასის დებიუტანტია, აქამდე იარა და „ბაიერნთან“ მისი თამაში საინტერესო იქნება.

„ლევერკუზენს“ კი გაუმართლა, რომ „ზენიტს“ ზამთარში არ გადაეყარა და სანკტ-პეტერბურგში მოყინულ მოედანზე სრიალი არ მოუწევს...

**ვაჟა ხუციშვილი**



უეფას გენერალური მდივანი დევიდ ტეილორს კენჭისყრისას რინატ დასაევი ეხმარებოდა

## უეფას თასი 2007-2008

**მერვედფინალი. საპასუხო შეხვედრები**


„რეინჯერსი“ განადგურებისგან მეკარე ალან მაკგრეგორმა იხსნა

# ალან მაკმაგარი

**ვერდერი** (გერმანია) 1:0 **რეინჯერსი** (შოტლანდია) (0:2)
1:0 დიეგო (58)

**სპორტინგი** (პორტუგალია) 1:0 **ბოლტონი** (ინგლისი) (1:1)
1:0 პერეირინია (85)

**„ვერდერმა“** 18 კუთხური ჩააწოდა და „რეინჯერსს“ მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა, მაგრამ ერთზე მეტი ვერ გაუტანა. ბრემენელებს მეორე გოლიც სჭირდებოდათ შეხვედრის დამატებით დროში გადასაყვანად, თუმც სტუმართა მეკარემ ალან მაკგრეგორმა აქეთ-იქით იფრინა და ბურთი კარში აღარ შეუშვა.

უეფას თასიდან ორი ინგლისური კლუბი („ევერტონი“ და „ტოტენჰემი“) ოთხშაბათს გავარდა, ხუთშაბათს მათ „ბოლტონიც“ მიჰყვა და „რეინჯერსმა“ ბრიტანეთი სირცხვილისგან იხსნა.

გლაზგოელმა ჩაფრებმა ბოლოს უეფას თასზე 2001-02 წლების სეზონში ითამაშეს და მერვედფინალში „ფეიენოორდთან“ დამარცხდნენ. „ჩემი აზრით, „ვერდერი“ ამ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი იყო და მით უფრო სასიხარულოა მეოთხედფინალში გასვლა“ — თქვა მაკგრეგორიმ, ხოლო მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა განაცხადა: „90 წუთის განმავლობაში თავს ვიცავდით და ეს ძალიან კარგად გამოგვივიდა. მაკგრეგორიმ ფენომენალურად ითამაშა, ზოგ ეპიზოდში კი იღბალიც ჩვენ მოგვემხრო“.

„ბოლტონს“ ევროთასებზე 19 მატჩში ერთ გოლზე მეტი სხვაობით არც მოუგია და არც წაუგია. ამჯერადაც ერთბურთიანი სხვაობით დამარცხდა, ოღონდ 85-ე წუთზე გაშვებულმა გოლმა პრემიერლიგელები მერვედფინალიდან მიაბრძანა.

სპორტინგელმა პერეირინიამ მარჯვენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიჭრა და მოჭრილი დარტყმით ბურთი ცხრიანში შეაგდო. „მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და ვფიქრობ, რომ მოგებას ვიმსახურებდით — თქვა „სპორტინგის“ მწვრთნელმა პაულუ ბენტუმ — მეტოქეს ერთი საგოლე შანსიც კი არ ჰქონია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

**II ჯგუფი. III ტური**

**ლანუსი 0:0 დეპორტივო კუენსა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანუსი (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ესტუდიანტესი (არგენტინა) | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| დანუბიო (ურუგვაი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**V ჯგუფი. III ტური**

**ამერიკა 3:1 დეპორტივო სან მარტინი**

0:1 ოველარი (7), 1:1 დ. მარკესი (39), 2:1 ინიგო (47), 3:1 კაბანიასი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა (მექსიკა) | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| დეპორტივო სან მარტინი (პერუ) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

# კარვალიუს ცოტა დარჩა



**რიკარდუ კარვალიუ** „ჩელსისთან" ახალ, ოთხწლიან ხელშეკრულებასთან არის ახლოს. ინგლისელი ჟურნალისტები პორტუგალიელი მცველის აგენტს, ჟორჟე მენდეშს დაუკავშირდნენ და შეიტყვეს, რომ მოლაპარაკება კლუბსა და ვარსკვლავს შორის ფაქტობრივად დასრულებულია, მოსაგვარებელი მცირე დეტალებიღა დარჩა.

„ჩელსის" წარმომადგენელმა განაცხადა: „ახალი ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და შედეგს სეზონის დასრულებამდე აუცილებლად მივიღებთ".

კარვალიუ 29 წლისაა. ის ლონდონში „პორტუდან" 2004 წელს, 19,85 მილიონ გირვანქად გადავიდა და მას მერე, გუნდის კაპიტან ჯონ ტერისთან ერთად დაცვის ცენტრში თამაშობს. სწორედ ცენტრალურ მცველთა ამ წყვილს ეყრდნობოდა „ჩელსის" წინა მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ იმ წლებში, როდესაც ზედიზედ მოიგო პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული.

როგორც ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, კარვალიუს ახალი ხელშეკრულება იმას ნიშნავს, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელი, სავარაუდოდ, ლონდონში დაამთავრებს კარიერას.

ლონდონელი „ლურჯების" კიდევ ერთმა პორტუგალიელმა, პაულუ ფერეირამ ერთი თვის წინ ახალ ხუთწლიან კონტრაქტის მოაწერა ხელი.

**პაპუნა კედია**

# ბარნლიდან ბარნსლიმდე

**საბრალო** პოლ გესქოინი: ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავს დავიწყებია, რომ თავის დროზე „ბარნლიში" გამოდიოდა; ჰგონია, რომ მისი გუნდი „ბარნსლი" იყო.

„სარბიელის" მკითხველს კი კარგად მოეხსენება, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი გასულ პარასკევს ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოაჯანმრთელეს. ინგლისელი ფსიქიატრები ამბობენ, რომ 40 წლის გაზას ამიერიდან ბნელი და ნათელი პერიოდები ექნება.

შეგახსენებთ, რომ გაზა საავადმყოფოში ოთხკვირიანი ლოთობისა და ნარკომანობის შემდეგ მოხვდა, ასეთი „თავგანწირვის" მიზეზი კი, მისი მეგობრების თქმით, დეკემბერში გადატანილი ბოლო ოპერაცია და იმის მიხვედრა გახლდათ, რომ ფეხბურთელი ველარასდროს იქნება.

ერთი სიტყვით, პოლ გესქოინმა „ბარნლის" მიერ „ჩელსის" ამასწინანდელი ძლევა საკუთარი გუნდის გამარჯვებად მიიჩნია. მისმა მავანმა მეგობარმა „სანის" კორესპონდენტებს მოუთხრო:

„მე მას ფრთხილად შევახსენე, რომ გუნდი, რომელშიც ის თამაშობდა „ბარნსლი" კი არა, „ბარნლი" იყო, მაგრამ პოლი გაჯიუტდა და მეც შევეშვი".



გაზა „ბარნლის" ფორმაში

როგორც ირკვევა, მეგობრები მას გეტსჰედში, მამამისის, ჯონის სახლში აკითხავენ, სადაც ის მხოლოდ და მხოლოდ ხალათში გამოწყობილი ხვდებათ. მეგობრების მონაყოლით, პოლი სიგარეტს ეწევა და რგოლებს უშვებს, ნერვიულად მოძრაობს და უცნაურ, სასაცილო ხმებს გამოსცემს.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს მავანი ექიმი: „აშკარაა, რომ ამიერიდან გაზა კლინიკათა პერიოდული სტუმარი იქნება. ამ კლინიკებში მას რამდენიმე კვირით დაიტოვებენ, გამოაჯანმრთელებენ და გაუშვებენ ხოლმე. შემდეგ გავა რამდენიმე თვე და ის ისევ დაღმა დაეშვება".

**პაპუნა კედია**

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | მიდლსბრო |
| დერბი | : | მანჩესტერი |
| ლივერპული | : | რედინგი |
| პორტსმუთი | : | ასტონ ვილა |
| სანდერლენდი | : | ჩელსი |
| ვესტ ჰემი | : | ბლექბერნი |
| **ხვალ** | | |
| ფულემი | : | ევერტონი |
| სიტი | : | ტოტენჰემი |
| უიგანი | : | ბოლტონი |
| **ზეგ** | | |
| ბირმინგემი | : | ნიუკასლი |

# ინგლისი

# კიგანს ორამდე დაუთვალეს

**ერთი** კვირის შემდეგ ხმაურიანი ტური იქნება — „ჩელსი" „არსენალს" უმასპინძლებს, „მანჩესტერი" კი „ლივერპულს" და ამიტომაც დიდი ოთხეულის გუნდებს დღეს თავ-თავიანთ მეტოქეებთან ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ.

ყველაზე იოლი მოწინააღმდეგე ამ ტურში „მანჩესტერს" ჰყავს, რადგან „დერბის" ეწვევა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა სტუმრად ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და ალბათ მესამესაც მიაყოლებს.

„დერბიმ" ოთხშაბათს „ჩელსისთან" სტუმრად 1:6 წააგო, სულ კი 29 შეხვედრაში 63 გოლი გაუშვა და დანდობას „მანჩესტერისგანაც" არ უნდა ელოდოს.

სტუმრებს მეკარე ედვინ ვან დერ სარი ტრავმის გამო დააკლდებათ, ტომაშ კუშჩაკი დისკვალიფიცირებულია და კარში ბენ ფოსტერი ჩადგება. ფოსტერმა ზაფხულში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ამ სეზონში არ უთამაშია. მანამდე ორი წელი „უოტფორდში" იყო განათხოვრებული და „დერბისთან" მისი დებიუტი შედგება. ლუი საასა და რაიან გიგზის თამაში საეჭვოა, დანარჩენები კი ჯანზე არიან.

„მანჩესტერისთვის" ეს მატჩი იმითაცაა, მნიშვნელოვანი, რომ გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადავა, რაკი „არსენალი" — „მიდლსბროს" შეხვდრა ორი საათით გვიან დაიწყება.

„არსენალი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ ბოლო ხანს პრემიერლიგაში საქმეები აერია. გუნდმა ზედიზედ სამ ტურში ფრე ითამაშა და მოგების გემო თუ არ გაიხსენა, მდევრები არ აპატიებენ და გადაასწრებენ. „მეთოფეებმა" ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ წააგეს და ეს სწორედ „მიდლსბროსგან" იგემეს, რომელსაც დღეს მასპინძლობენ. არსენ ვენგერს ტომაშ როსიცკი და აბუ დიაბი დააკლდებიან, თეო უოლკოტის გამოჩენა კი საკითხავოა. ძირითად შემადგენლობაში იქნება სახელმოხდილი ემანუელ ებუე და ტრავმამოშუშებული კოლო ტურე, რობინ ვან პერსიც ალბათ თავიდანვე ითამაშებენ.

ბოროელებს აფონსუ ალვეში გამოუკეთდებათ, ხოლო ჯერემი ალიადიერმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

„ჩელსი" ეწვევა „სანდერლენდს", რომელსაც უკვე სამი ტურია, გოლი არ გაუტანია. ასეთი მეტოქის ძლევა ავრაამ გრანტის გუნდს არ უნდა გაუჭირდეს. ჩელსელთა მთავარი მეკარე პეტრ ჩეხი ტრავმირებულია და მის ნაცვლად კარლო კუდიჩინი იქნება.

„ლივერპულმა" პრემიერლიგაში მიჯრით ხუთი მატჩი მოიგო, ორიც ჩემპიონთა ლიგაში („ინტერთან") და აღმავლობის გზაზეა. რაფაელ ბენიტესის გუნდი ლიდერ „არსენალს" ათი ქულით ჩამორჩება, მაგრამ საჩემპიონო შანსი ჯერ არ დაუკარგავს. „წითლების" მეტოქე დღეს „რედინგი" იქნება, ვისთანაც პირველ წრეში 1:3 წააგეს, ასე რომ, მერსისაიდელები სარევანშოდ ემზადებიან. რედინგელებმა ბოლო ორი მატჩი ისე მოიგეს, რომ გოლი არ გაუშვეს.

„დეილი მეილის" ცნობით, „ნიუკასლი" მომდევნო ორ ტურში ერთსაც თუ წააგებს, კევინ კიგანს მოხსნიან. „კაჭკაჭები" ზედიზედ ოთხ მატჩში დამარცხდნენ და ქვედა ლიგის ზონისკენ მიექანებიან. კლუბის პატრონს მობეზრდა ამის ყურება და მწვრთნელს ულტიმატუმი წაუყენა. „ნიუკასლი" ზეგ „ბირმინგემს" ესტუმრება, შემდეგ ტურში კი „ფულემს" უმასპინძლებს. კიგანს შეი გივენი, ემრე და სტივენ კარი ჰყავს ტრავმირებული, ხოლო მეგოლე მარკ ვიდუკა გამოკეთდა და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

„ვესტ ჰემს" გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ გუნდმა ბოლო სამი მატჩი ერთნაირად (0:4) წააგო და მწვრთნელ ალან კერბიშლისაც სკამი შეერყა. მის გათავისუფლებაზეც საუბრობდნენ, მაგრამ კლუბის შეფმა ნდობა გამოუცხადა. „ჩაქუჩებს" დაშავებული ლი ბოიერი და დისკვალიფიცირებული ლუის ბოა მორტე დააკლდებათ. სამაგიეროდ, მცველი მეტიუ აპსონი გამოჯანმრთელდა და „ბლექბერნთან" ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | | | 1:1 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | | 2:0 | | 3:0 | 3:2 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 5:0 | 29 | 19 | 9 | 1 | 57:21 | 66 | 12 | 3 | 0 | 32:9 | 39 | 7 | 6 | 1 | 25:12 | 27 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | | 2:1 | | 2:0 | 2:0 | 1:2 | | 1:0 | 4:1 | 4:0 | 0:0 | 6:0 | 1:0 | 1:0 | | 2:0 | 4:1 | 28 | 20 | 4 | 4 | 58:15 | 64 | 12 | 1 | 1 | 32:5 | 37 | 8 | 3 | 3 | 26:10 | 27 |
| 3 | ჩელსი | | | | 0:0 | 1:1 | 4:4 | 1:0 | 0:0 | 6:0 | 1:0 | 2:0 | | | 1:0 | 2:1 | 2:0 | 3:2 | | 0:0 | 6:1 | 28 | 18 | 7 | 3 | 48:18 | 61 | 9 | 5 | 0 | 29:9 | 32 | 9 | 2 | 3 | 19:9 | 29 |
| 4 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 | | | 2:2 | 4:1 | | | 4:0 | 2:2 | 3:2 | 1:1 | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 4:0 | 2:0 | 6:0 | 29 | 15 | 11 | 3 | 53:20 | 56 | 8 | 6 | 1 | 36:11 | 30 | 7 | 5 | 2 | 17:9 | 26 |
| 5 | ევერტონი | 1:4 | 0:1 | | 1:2 | | | 3:1 | 1:1 | 1:0 | | 0:0 | 2:0 | 2:1 | 1:0 | | 7:1 | 3:1 | 2:0 | 3:0 | | 29 | 17 | 5 | 7 | 47:24 | 56 | 9 | 2 | 3 | 27:12 | 29 | 8 | 3 | 4 | 20:12 | 27 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 1:2 | 2:0 | | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | | 3:1 | 4:1 | | | | 2:1 | 2:0 | 29 | 13 | 10 | 6 | 52:37 | 49 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 | 5 | 7 | 2 | 27:19 | 22 |
| 7 | პორტსმუთი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | | | 0:0 | 0:0 | 0:1 | 0:1 | | 7:4 | | 1:0 | 4:2 | 3:1 | | 3:1 | 29 | 13 | 8 | 8 | 42:31 | 47 | 5 | 7 | 2 | 20:12 | 22 | 8 | 1 | 6 | 22:19 | 25 |
| 8 | ბლექბერნი | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:4 | 0:1 | | 1:0 | 0:1 | | 1:1 | | 4:2 | 3:1 | 1:0 | 2:1 | 4:1 | 1:1 | | 29 | 12 | 10 | 7 | 38:35 | 46 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 23 | 6 | 5 | 3 | 20:20 | 23 |
| 9 | სიტი | 1:3 | 1:0 | | 0:0 | 0:2 | 1:0 | | 2:2 | | 1:1 | | 3:1 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 1:0 | 4:2 | | 1:0 | 29 | 12 | 9 | 8 | 34:33 | 45 | 9 | 4 | 2 | 21:13 | 31 | 3 | 5 | 6 | 13:20 | 14 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | 2:1 | 0:4 | 1:0 | 0:2 | | | | 0:2 | | 1:1 | 3:0 | 1:1 | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 29 | 11 | 7 | 11 | 31:35 | 40 | 5 | 5 | 4 | 16:17 | 20 | 6 | 2 | 7 | 15:18 | 20 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:3 | 1:1 | | | 1:3 | 4:4 | | 1:2 | 2:1 | 4:0 | | | 4:0 | 6:4 | | 2:0 | 2:3 | | 5:1 | 4:0 | 28 | 9 | 8 | 11 | 53:45 | 35 | 7 | 2 | 4 | 37:22 | 23 | 2 | 6 | 7 | 16:23 | 12 |
| 12 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | 1:1 | 0:2 | 0:3 | | 1:2 | | 1:2 | 1:1 | | 1:0 | 0:1 | 2:2 | 2:2 | 2:0 | | 1:0 | | 29 | 7 | 9 | 13 | 26:43 | 30 | 4 | 4 | 6 | 14:19 | 16 | 3 | 5 | 7 | 12:24 | 14 |
| 13 | უიგანი | 0:0 | | 0:2 | 0:1 | 1:2 | 1:2 | 0:2 | 5:3 | 1:1 | 1:0 | | 1:0 | | | 1:0 | 3:0 | | | 1:1 | 2:0 | 29 | 7 | 7 | 15 | 26:42 | 28 | 6 | 3 | 5 | 17:14 | 21 | 1 | 4 | 10 | 9:28 | 7 |
| 14 | რედინგი | 1:3 | 0:2 | 1:2 | 3:1 | 1:0 | 1:2 | 0:2 | | 2:0 | 0:3 | | 1:1 | 2:1 | | 2:1 | 2:1 | | 0:2 | | 1:0 | 29 | 8 | 4 | 17 | 34:55 | 28 | 7 | 1 | 7 | 17:21 | 22 | 1 | 3 | 10 | 17:34 | 6 |
| 15 | ნიუკასლი | 1:1 | 1:5 | | 0:3 | 3:2 | 0:0 | 1:4 | 0:1 | 0:2 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 1:0 | | | | 2:1 | 0:0 | | 2:2 | 29 | 7 | 7 | 15 | 30:56 | 28 | 5 | 5 | 5 | 18:24 | 20 | 2 | 2 | 10 | 12:32 | 8 |
| 16 | სანდერლენდი | | 0:4 | | 0:2 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 1:2 | | | 1:0 | | 2:0 | 2:1 | 1:1 | | 2:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 29 | 7 | 6 | 16 | 26:47 | 27 | 7 | 3 | 4 | 17:14 | 24 | 0 | 3 | 12 | 9:33 | 3 |
| 17 | ბირმინგემი | 2:2 | 0:1 | 0:1 | | | 1:2 | 0:2 | | | 0:1 | 4:1 | 3:0 | 3:2 | 1:1 | | 2:2 | | 1:0 | 1:1 | 1:1 | 29 | 6 | 8 | 15 | 33:45 | 26 | 4 | 5 | 5 | 19:17 | 17 | 2 | 3 | 10 | 14:28 | 9 |
| 18 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | 1:3 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | 1:1 | 0:0 | 4:1 | 3:0 | 1:3 | | 3:0 | | 0:0 | 1:0 | 28 | 6 | 7 | 15 | 28:42 | 25 | 5 | 4 | 6 | 18:15 | 19 | 1 | 3 | 9 | 10:27 | 6 |
| 19 | ფულემი | 0:3 | 0:3 | 1:2 | | | 2:1 | 0:2 | 2:2 | 3:3 | 0:1 | 3:3 | 1:2 | 1:1 | 3:1 | 0:1 | | | 2:1 | | 0:0 | 29 | 3 | 11 | 15 | 26:49 | 20 | 3 | 5 | 7 | 18:26 | 14 | 0 | 6 | 8 | 8:23 | 6 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 1:2 | 0:2 | | 2:2 | 1:2 | 1:1 | 0:5 | 0:3 | 0:1 | 0:1 | | 1:0 | 0:0 | 1:2 | 1:1 | | | 29 | 1 | 7 | 21 | 14:63 | 10 | 1 | 4 | 9 | 8:24 | 7 | 0 | 3 | 12 | 6:39 | 3 |

# პატო ოჯახშია



**იტალიური** „მილანის“ 18 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი ალექსანდრე პატო ამბობს, რომ „როსონერიში“ თავს ისე გრძნობს, როგორც ოჯახში და ადაპტაციასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შექმნია.

ამაზე ფაქტებიც მეტყველებს — „იხვმა“ „მილანის“ მაისურით თამაში იანვარში დაიწყო და მშვენივრად გამოიყურება. 10 მატჩში მას უკვე 6 გოლი აქვს გატანილი.

„იმიტომ ავირჩიე „მილანი“, რომ ბრწყინვალე გუნდია და ყველა მეუბნებოდა, უკეთეს კლუბში ვერ გადახვალო. „როსონერი“ დიდი ოჯახივითაა. აქ არაერთი ბრაზილიელია და, საერთოდ, ყველასგან ბევრს ვსწავლობ. მარკოს კაფუ მუდამ ჩემს გვერდით ტრიალებს და მელაპარაკება. იგი „მილანში“ ახალი ბრაზილიელებისთვის გიდივითაა. ძალიან მეხმარებიან სხვა თანამემამულეებიც. ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი და გამოსასწორებელი, არამარტო საფეხბურთო თვალსაზრისით. მაგალითად, იტალიური ენა, რომელსაც ყოველდღე დიდხანს ვმეცადინეობ“ — თქვა პატომ.

„მილანის“ გამოცდილი ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი კი ცდილობს, „იხვის“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი დააცხროს. იგი შიშობს — ამდენმა ქებამ და ზეწოლამ პატო არ გააფუჭოსო.

„ის საოცრად ნიჭიერია, მაგრამ ეს აქამდეც ვიცოდი. ყოველთვის ვცდილობ, პატოს ირგვლის ატეხილი ისტერია დავაცხრო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი არ შეაქონ ან არ დააფასონ. შეხედეთ, რა დაემართა ადრიანოს — იგი 22 წლის იყო, „იმპერატორი“ რომ შეარქვეს და აღმერთებდნენ, მაგრამ ამან მასზე ცუდად იმოქმედა და ნახეთ, სად არის ახლა“ — განაცხადა ზეედორფმა.

**კოკი კანდელაკი**

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| შალკე | : | დუისბურგი |
| წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |
| **დღეს** | | |
| ბოხუმი | : | შტუტგარტი |
| კოტბუსი | : | ბაიერნი |
| ჰამბურგი | : | დორტმუნდი |
| ჰანზა | : | ჰერტა |
| ჰანოვერი | : | არმინია |
| კარლსრუე | : | აინტრახტი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | : | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | : | ნიურნბერგი |

# გერმანია

## თავი ბოლოს სტუმარია



ნიურნბერგელმა იან კოლერმა ფურთხებისთვის სასჯელი მოიხადა

**დღეს** ცხრილის თავი და ბოლო ერთმანეთს კოტბუსში შეხვდებიან. ლიდერი „ბაიერნი“, რომელმაც „ანდერლეხტთან“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენა, ბუნდესლიგის ფსკერზე დალექილ მეტოქეს ეწვევა.

სამი წელია, „ბაიერნი“ კოტბუსში ისე იგებს, რომ გოლსაც არ უშვებს და ალბათ ამჯერადაც არ გაუჭირდება სამი ქულის წაღება. სტუმრებს დისკვალიფიცირებული მარკ ვან ბომელი დააკლდებათ, ზე რობერტუ კი გამოჯანმრთელდა და ითამაშებს.

მიუნხენელთა მდევარი „ვერდერი“ ხვალ „ვოლფსბურგს“ უმასპინძლებს და ბრემენელებს კვლავ ვერ დაეხმარება დიეგო, რადგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. „მუსიკოსებს“ დაშავებული ჰყავთ ვომე, ფრინგსი და მერტეზაკერი, „ვოლფსბურგში“ კი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ტრავმებს არ უჩივიან.

შეგახსენებთ, რომ „ვერდერმა“ ხუთშაბათს უეფას თასზე „რეინჯერსი“ 1:0 დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში ვერ გავიდა.

ასევე უეფას თასიდან გამოვარდნილი „ჰამბურგი“, რომელიც „ვერდერს“ ქულით ჩამორჩება, „დორტმუნდს“ მიიღებს. ჰამბურგელებმა ოთხშაბათს „ლევერკუზენს“ 3:2 მოუგეს, მაგრამ ევროსარბიელს მაინც დაემშვიდობნენ.

„დორტმუნდს“ ტრავმის გამო მეკარე ვაიდენფელერი, კრინგე, ბლაშჩიკოვსკი, კლიმოვიჩი და დეგენი დააკლდებიან, „ჰამბურგს“ კი მოჰამედ ზიდანი და კასტელენი.

ბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატი „ნიურნბერგი“ „ლევერკუზენს“ ესტუმრება. ნიურნბერგელებს დაშავებული გალაშეკი და დისკვალიფიცირებული პინოლა ვერ დაეხმარებიან, ხოლო ფორვარდმა იან კოლერმა ფურთხებისთვის ერთმატჩიანი სასჯელი მოიხადა და ითამაშებს.

„ლევერკუზენმა“ ბოლო ორი საშინაო მატჩი ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვა, ხოლო „ნიურნბერგმა“ თვეზე მეტია, გამარჯვების გემო არ იცის.

„შტუტგარტმა“ მიჯრით ოთხ ტურში იმარჯვა და ზევით მიიწევს. გუნდმა ამ ოთხ მატჩში 13 გოლი გაიტანა. შტუტგარტელები დღეს იოლად ალბათ ვერ გაისეირნებენ, „ბოხუმი“ შინ კარგად თამაშობს და 30-დან ოცი ქულა საკუთარ სტადიონზე მოაგროვა. მასპინძლებს მარკ სანდი დააკლდებათ, სტუმრებს კი ფერნანდუ მეირა. აღსანიშნავია, რომ „ბოხუმს“ უკვე სამი ტურია, არ წაუგია.

ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიის გაგრძელება სურს „ჰერტასაც“, რომელსაც ერთი კვირის წინ „დორტმუნდთან“ შეხვედრაში მწვრთნელი ლუსიენ ფავრი გაუძევეს. დასჯილმა წითელი ბარათი ფეხბურთის ფედერაციაში გაასაჩივრა და გაამართლეს. ფავრი დღეს „ჰანზასთან“ მატჩში კუთვნილ სკამზე დაბრძანდება და თამაშის ტრიბუნიდან ნახვა აღარ მოუწევს.

„კარლსრუე“ „აინტრახტს“ ჯოშუა კენედის გარეშე დაუხვდება. ავსტრალიელი მეკოლე ტრავმირებულია, ალექსანდრე იაშვილი კი კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

აინტრახტელებს დაშავებული ჰყავთ კირიაკოსი, მაჰდავიკია და მეკარე პროელი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | | 1:1 | | 2:0 | 2:1 | 0:0 | 3:0 | | | | 3:0 | | 3:0 | 0:0 | 5:0 | 23 | 14 | 8 | 1 | 41:11 | 50 | 6 | 5 | 0 | 21:4 | 23 | 8 | 3 | 1 | 20:7 | 27 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 2:1 | 5:2 | | 4:1 | 4:0 | | 2:1 | | 3:2 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 8:1 | 2:0 | | | 23 | 13 | 4 | 6 | 51:34 | 43 | 10 | 0 | 2 | 34:14 | 30 | 3 | 4 | 4 | 17:20 | 13 |
| 3 | ჰამბურგი | 1:1 | | | 1:0 | | 4:1 | | 2:2 | 4:1 | 1:1 | 2:1 | 3:0 | | 2:0 | | 1:0 | | 0:0 | 23 | 11 | 9 | 3 | 34:17 | 42 | 7 | 4 | 0 | 21:7 | 25 | 4 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | 1:1 | | 1:0 | | 3:0 | | | 2:0 | | 2:0 | 2:2 | 3:0 | 4:0 | | 4:1 | 0:0 | 23 | 12 | 5 | 6 | 41:23 | 41 | 7 | 3 | 1 | 22:5 | 24 | 5 | 2 | 5 | 19:18 | 17 |
| 5 | შალკე | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 4:1 | 0:2 | 1:2 | | | 1:0 | 1:0 | 4:1 | | 3:0 | 2:1 | | | 23 | 10 | 8 | 5 | 36:24 | 38 | 6 | 3 | 3 | 19:11 | 21 | 4 | 5 | 2 | 17:13 | 17 |
| 6 | შტუტგარტი | 3:1 | 6:3 | | 1:0 | 2:2 | | 3:1 | 3:1 | | 0:2 | 1:3 | 1:0 | 1:2 | | | | 1:0 | 3:0 | 23 | 12 | 1 | 10 | 39:38 | 37 | 8 | 1 | 3 | 25:15 | 25 | 4 | 0 | 7 | 14:23 | 12 |
| 7 | კარლსრუე | 1:4 | | 1:1 | 2:2 | | 1:0 | | 3:1 | | 1:2 | 2:1 | | 3:1 | | 0:0 | 2:0 | 1:0 | | 23 | 10 | 6 | 7 | 29:31 | 36 | 6 | 3 | 2 | 17:12 | 21 | 4 | 3 | 5 | 12:19 | 15 |
| 8 | ვოლფსბურგი | | 1:1 | | 1:2 | 1:1 | | 1:2 | | 2;2 | | 0:0 | | 4:0 | 1:0 | 1:3 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 23 | 9 | 6 | 8 | 39:35 | 33 | 5 | 4 | 3 | 20:13 | 19 | 4 | 2 | 5 | 19:22 | 14 |
| 9 | აინტრახტი | | 1:0 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 1:4 | 0:1 | | | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 1:0 | 2:1 | | | | 23 | 8 | 9 | 6 | 27:30 | 33 | 6 | 3 | 2 | 13:11 | 21 | 2 | 6 | 4 | 14:19 | 12 |
| 10 | ჰანოვერი | 0:3 | 4:3 | 0:1 | 0:3 | 2:3 | | 2:2 | 2:2 | | | | 3:2 | 2:1 | | | 2:1 | 2:1 | | 23 | 9 | 5 | 9 | 33:39 | 32 | 5 | 2 | 4 | 19:22 | 17 | 4 | 3 | 5 | 14:17 | 15 |
| 11 | ჰერტა | 0:0 | | | 0:3 | | 3:1 | | 2:1 | 0:3 | 1:0 | | 2:0 | 3:2 | 1:3 | 1:0 | | 2:0 | 0:0 | 23 | 9 | 4 | 10 | 26:29 | 31 | 7 | 2 | 3 | 15:13 | 23 | 2 | 2 | 7 | 11:16 | 8 |
| 12 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | 2:1 | 2:0 | | | 2:2 | 5:3 | 0:0 | 2:1 | | | | | 3:0 | 3:3 | | 3:3 | 23 | 8 | 6 | 9 | 35:36 | 30 | 5 | 5 | 1 | 25:17 | 20 | 3 | 1 | 8 | 10:19 | 10 |
| 13 | დორტმუნდი | 0:0 | 3:0 | 0:3 | | 2:3 | | | | 1:1 | | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 6:1 | | 1:3 | 3:0 | 23 | 8 | 5 | 10 | 35:39 | 29 | 5 | 3 | 3 | 20:13 | 18 | 3 | 2 | 7 | 15:26 | 11 |
| 14 | ჰანზა | 1:2 | | | | 1:1 | 2:1 | 0:0 | | 1:0 | 0:3 | | 2:0 | 0:1 | | 1:1 | 1:2 | 2:0 | 3:2 | 23 | 6 | 5 | 12 | 21:32 | 23 | 5 | 3 | 4 | 14:13 | 18 | 1 | 2 | 8 | 7:19 | 5 |
| 15 | არმინია | 0:1 | | 0:1 | | 0:2 | 2:0 | | 0:1 | 2:2 | 0:2 | 2:0 | | | 4:2 | | 3:1 | 0:2 | 1:1 | 23 | 5 | 4 | 14 | 21:47 | 19 | 4 | 2 | 6 | 14:15 | 14 | 1 | 2 | 8 | 7:32 | 5 |
| 16 | ნიურნბერგი | | 0:1 | 0:0 | 1:2 | | 0:1 | 0:2 | | 5:1 | 2:2 | 2:1 | | 2:0 | 1:1 | | | | 1:1 | 23 | 4 | 6 | 13 | 24:36 | 18 | 3 | 4 | 4 | 14:12 | 13 | 1 | 2 | 9 | 10:24 | 5 |
| 17 | დუისბურგი | | 1:3 | 0:1 | | 0:2 | 2:3 | | 1:3 | 0:1 | | 1:2 | 0:2 | 3:3 | 1:1 | 3:0 | 1:0 | | | 23 | 5 | 3 | 15 | 23:37 | 18 | 2 | 2 | 8 | 13:21 | 8 | 3 | 1 | 7 | 10:16 | 10 |
| 18 | კოტბუსი | | 0:2 | | 2:3 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 1:2 | 2:2 | 5:1 | | 1:2 | 0:2 | | | 1:1 | 1:2 | | 23 | 3 | 8 | 12 | 23:40 | 17 | 3 | 2 | 7 | 16:18 | 11 | 0 | 6 | 5 | 7:22 | 6 |

# რა ხდება ინტერში?
## ყველა ყველას ეჩხუბება


მასიმო მორატი

**იტალიური** პრესის ცნობით, რობერტო მანჩინი „ინტერში“ დარჩენას იმიტომ დათანხმდა, რომ კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენა და სათავისო პასუხიც მიიღო.

„მანჩოს“ ლუიშ ფიგუსთან კარგი ურთიერთობა რომ არ აქვს, არახალია. ამბობენ, ვეტერანმა პორტუგალიელმა „ლივერპულთან“ მატჩში შეცვლაზე შესვლა იუარა და მანჩინიმ მორატის მისი გვარიანად დასჯა მოსთხოვაო.

გარდა ამისა, „ინტერის“ მწვრთნელს პრეზიდენტისთვის უთქვამს, ალვარო რეკობა და ადრიანო საბოლოოდ მომაცილეო. ასევე უთხოვია, კლუბის ექიმ ფრანკო კომბისთან კონფლიქტი რომ მაქვს, ჩემი მხარე დაიჭირეო.

მანჩინის კონფლიქტი აქვს პატრიკ ვიეირასა და ერნან კრესპოსთანაც. ბოლო დროს მას ურთიერთობა ზლატან იბრაჰიმოვიჩთანაც დაეძაბა, რომელიც, თავის მხრივ, მარკო მატერაცის წაჩხუბებია. მოკლედ, ფაქტია, რომ ახლა „ნერაძურიში“ ძალიან დაძაბული ატმოსფეროა.

SKY ITALIA-სთან საუბარში კი მანჩინიმ კიდევ ერთხელ, ემოცურად აღწერა, რატომ გააკეთა განცხადება წასვლის შესახებ.

„დროის დაბრუნება რომ შემეძლოს, იმ განცხადებას არ გავაკეთებდი, რადგან ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი, წასვლა არ მინდოდა და კლუბშიც დავძაბე ვითარება. უბრალოდ, ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი. შანსი ვერ გამოვიყენეთ, კაცი გაგვიგდეს, უპირატესობას ვფლობდით და უცებ აქეთ გაგვიტანეს. სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დავუშვით. მეორე დღეს ცივ გონებაზე პრეზიდენტს ვესაუბრე, მისგან მხარდაჭერა ვიგრძენი და ყველაფერი მოგვარდა. იტალიაში ბევრს ჰგონია, რომ თუ გუნდი იგებს, მწვრთნელია კარგია, თუ აგებს — ცუდი. როცა საქმე კარგად მიდის, ეს ვინმეს უნდა დაბრალდეს და მწვრთნელისთვის დაბრალება საუკეთესო გამოსავალია. ვფიქრობ, ასეთი ხალხის თვალში დამატებითი ანტიპათია გამოვიწვიე, მაგრამ, რას ვიზამთ, ასეა სამყარო“ — თქვა მანჩინიმ.

**ქოქი ქანდელაკი**



# ელკანი რანიერის ენდობა

**ტურინის** „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა მფლობელმა ჯონ ელკანმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა კლუბის მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის. ჭალარა ტაქტიკოსს სამმატჩიანი მოუგებელი სერიის მერე მრავლად გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, მაგრამ წინა ტურში „ბიანკონერის“ „ჯენოასთან“ საგარეო გამარჯვებამ ისინი ცოტათი გააჩუმა.

„ჯერჯერობით ის ბრწყინვალედ მუშაობს. სერია A-ში საქმე მშვენივრად გვაქვს და წინა ტურში „ჯენოასთან“ მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გუნდი ყოველთვის ბოლომდე იბრძვის, რაშიც რანიერის ლომის წვლილი მიუძღვის. მჯერა, ფეხბურელები სათანადოდ გაირჯებიან ბოლო ტურებშიც და მიზანს მივაღწევთ — ყველას ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება გვინდა. ასევე მინდა ვთქვა, რომ როგორც ფანი, ძალიან ბედნიერი ვარ ბუფონის ახალი კონტრაქტით. ის მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა და ჩვენთვის უძლიერესად ბევრს ნიშნავს“ — თქვა ელკანმა.

ბუფონის კონტრაქტზე და არა მარტო ამაზე, კომენტარი პაველ ნედველმაც გააკეთა: „ჯიჯის გაუმართლა, მას სულ მცირე, კიდევ ხეთი წელი აქვს ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. მე კი მიხარია, რომ დავბრუნდი, ფეხბურთი ძალიან მაკლდა. ჩემი შეცდომისთვის პასუხი საკმარისად ვაგე. წამატებულ წუთებზე უკვე მეორედ გამძევეს. ასე რომ, იმედია, ამიერიდან მატჩები ზუსტად 90 წუთში დამთავრდება. ხუმრობის გარეშე კი, ყველანი სერიოზულად ვართ განწყობილნი და ბევრს ვშრომობთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ძალიან გვინდა. ჩემს მომავალზე ვერაფერს გეტყვით, სეზონის ბოლომდე კიდევ დიდი დროა და ამაზე მერე ვილაპარაკოთ“.

შეგახსენებთ: „ბებერი ქალბატონის“ ვეტერანმა ჩეხმა ნახევარმცველმა დისკვალიფიკაციის გამო ორი მატჩში გამოტოვა. ამის მიზეზი ორი ტურის წინ „ტორინოსთან“ ტურინულ დერბიში ჩადენილი საქციელი გახლდათ — მან ჯანლუკა კომოტოს თმაზე მოქაჩა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | : | ლაციო |
| რომა | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| სამპდორია | : | კატანია |
| ატალანტა | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | ჯენოა |
| იუვენტუსი | : | ნაპოლი |
| ინტერი | : | პალერმო |
| ლივორნო | : | პარმა |
| რეჯინა | : | სიენა |
| კალიარი | : | ტორინო |

# იტალია
## მილანის დილემა

**რომის** „სტადიო ოლიმპიკოზე“ დიდი მატჩია, „რომა“ „მილანს“ მასპინძლობს და ცხადია, ამ შეხვედრის შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, „როსონერის“ ერთადერთი საფიქრალი სერია A-ს ოთხეულში მოხვედრაა.

კარლო ანჩელოტის მეხუთე ადგილზე მყოფ შეგირდებს მოგება სჭირდებათ, მაგრამ ისინი მცირე დილემის წინაშე არიან, რადგან „გლადიატორთათვის“ ქულის ან ქულების ართმევით თითქმის გაუნაღდებენ თავის თანაქალაქელსა და მოსისხლე მტერ „ინტერს“ მიჯრით მესამე სკუდეტოს.

რომაელები ფავორიტებად ითვლებიან, საკუთარ კედლებში თამაშის გარდა, ისინი ამჟამად აშკარად უკეთეს ფორმაშიც იმყოფებიან. შეგახსენებთ, რომ ლუჩანო სპალეტის „ჯალოროსი“ ერთადერთი იტალიური კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშს აგრძელებს.

„მილანს“ ბრაზილიური ოთხეული აკლია — რონალდო, დიდა, სერჟინიო და კაფუ. ალესანდრო ნესტა, კლარენს ზეედორფი და მარეკ იანკულოვსკი კი ბოლომდე მზად არ არიან, მაგრამ ალბათ თამაშს შეძლებენ. „რომას“ შემადგენლობა საბრძოლოა.

„ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენ მეტოქეს ახლა საუკეთესო პერიოდი არ აქვს, რადგან ჩემპიონთა ლიგას ახლახან გამოეთიშა, ეს კი ჩვენ დამატებით უპირატესობას გვაძლევს. „რომას“ თამაშით და საკუთარითაც კმაყოფილი ვარ, ჩემზე რომ იყოს, ცხადია, ყველაფერს სკუდეტოს მოგებას ვამჯობინებდი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — თქვა „გლადიატორების“ ფორვარდმა მირკო ვუჩინიჩმა.

კარლო ანჩელოტი: „რომში თამაში ყოველთვის რთულია. თან ახლა „ჯალოროსი“ შესაშურ ფორმაშია, მაგრამ აბსოლუტურად სხვანაირ „მილანს“ იხილავთ, ვიდრე წინა ტურში „ემპოლისთან“. თამაში ყოველმხრივ გამოვასწორეთ“.

„ლივერპულთან“ მარცხისა და რობერტო მანჩინის გარშემო ატეხილი აურზაურის გათვალისწინებით, „ინტერს“ ახლა გამარჯვება ძალიან სჭირდება. „ნერაძურიმ“ თვითრწმენა უნდა დაიბრუნოს, თორემ ვინ იცის, ეგებ თითქოს განაღდებული სკუდეტო ხელიდანაც კი გამოეცალოს და კლუბი თავის დაარსების ასი წლისთავზე ხახამშრალი დარჩეს.

„ნერაძურის“ სახუმარო მეტოქე სულაც არ ჰყავს, „პალერმო“ არასტაბილურია, მაგრამ სიცილიელებს ნებისმიერის გამწარება შეუძლიათ. თან ისინი „სან სიროს“ სრული შემადგენლობით სტუმრობენ.

„ინტერს“ ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, აპარესიდო სეზარი, მაქსველი და ივან კორდობა არ ეყოლება.

ბევრ გოლსა და დაძაბულ დრამას ელიან ტურინში „იუვენტუსისა“ და „ნაპოლის“ პრინციპული დაპირისპირებისგან.

„ბებერ ქალბატონს“ ჯონათან ძებინა, მაურო კამორანეზი და ნიკოლა ლეგროტალიე ჰყავს დისკვალიფიცირებული. კრისტიანო ძანეტის ტრავმა დაახლოებით 25-დღიანია, რაც ტიაგუ მენდეშს თავის გამოჩენის მორიგ შანსს აძლევს.

„ნაპოლისთვის“ ყველაზე ცუდი ამბავი ის არის, რომ ექსიუვენტუსელი მარსელო ზალაიეტა სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. სტუმრები ასევე ყოფილ ტურინელს მანუელე ბლაზისა და დანიელე მანინის მოისაკლისებენ.

„ძალიან მიხარია, რომ „იუვენტუსთან“ ახალი კონტრაქტი გავაფორმე და კლუბში სულ მცირე 35 წლის ასაკამდე დავრჩები. კიდევ უფრო ბევრი დრო გვაქვს ერთად სასიამოვნოდ გასატარებლად. დიდი მადლობა უფროსობასა და ფანებს ჩემდამი გამოჩენილი პატივისცემისთვის. ახლა მთავარია, „ნაპოლის“ მოვუგოთ, უდავოდ მძიმე მატჩი გველის“ — განაცხადა ჯანლუიჯი ბუფონმა, რომელსაც კონტრაქტი 2013 წლის 30 ივნისამდე გაუხანგრძლივეს და ალესანდრო დელ პიეროს წასვლის მერე, კაპიტნის სამკლავურს შეპირდნენ.

„ფიორენტინას“, რომელიც მეოთხე ადგილზე თავს მშვიდად ველარ გრძნობს, ერთხელაც მოუწევს ლიდერის, ადრიან მუტუს გარეშე ფონს გასვლა. ასევე ვერ ითამაშებენ ნდიაიე პაპა ვიაგო და ფრანკო სემიოლი, ფაბიო ლივერანიმ კი შესაძლოა, მოამჯობინება მოასწროს.

„იების“ მეტოქე „ჯენოას“ მიჯრით ორი წაგების მერე გონს მოსვლა სჭირდება. ამის გაკეთება „გრიფონის“ მატეო პაროს, ჩეზარე ბოვოს, სანტოსისა და რუბინიოს გარეშე მოუწევს.

კიდევ ერთი დაძაბული და საინტერესო დაპირისპირება „ფრიულიზეა“ — „უდინეზე“ „ლაციოს“ მასპინძლობს. ორივე გუნდის შემადგენლობა ოპტიმალურია.

**გიორგი ქაქაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 1:1 | | | 2:1 | 1:1 | 3:0 | | 4:1 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 4:0 | | 2:0 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 2:0 | | 27 | 19 | 7 | 1 | 52:16 | 64 | 12 | 2 | 0 | 32:8 | 38 | 7 | 5 | 1 | 20:8 | 26 |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 1:0 | | 2:1 | 2:0 | 1:0 | | | 3:2 | 4:4 | | 3:0 | 2:0 | | 4:0 | | 2:0 | 2:0 | 27 | 17 | 7 | 3 | 48:24 | 58 | 10 | 2 | 1 | 29:13 | 32 | 7 | 5 | 2 | 19:11 | 26 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | 1:0 | | 2:3 | | 0:1 | 0:0 | 5:0 | 1:0 | 1:0 | | | 0:0 | 2:0 | | 5:1 | | 3:0 | 4:0 | 1:1 | 27 | 14 | 9 | 4 | 48:24 | 51 | 8 | 4 | 2 | 26:7 | 28 | 6 | 5 | 2 | 22:17 | 23 |
| 4 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 0:1 | 1:2 | | | | 2:2 | | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 1:0 | | 3:1 | | 5:1 | 27 | 13 | 8 | 6 | 40:26 | 47 | 7 | 3 | 3 | 23:14 | 24 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 23 |
| 5 | მილანი | | 0:1 | 0:0 | 1:1 | | | | 2:1 | 2:0 | | 1:1 | 5:2 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:1 | | | 27 | 12 | 10 | 5 | 41:21 | 46 | 4 | 7 | 2 | 15:10 | 19 | 8 | 3 | 3 | 26:11 | 27 |
| 6 | უდინეზე | 0:0 | | 1:2 | | 0:1 | | 3:2 | 1:1 | 3:5 | 2:0 | | 0:5 | 2:1 | 2:0 | | | 2:1 | 2:2 | 2:0 | | 27 | 11 | 7 | 9 | 34:36 | 40 | 6 | 3 | 4 | 20:20 | 21 | 5 | 4 | 5 | 14:16 | 19 |
| 7 | სამპდორია | 1:1 | | | 2:2 | 0:5 | | | 3:0 | 0:0 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 1:0 | | | 3:0 | 3:0 | 3:0 | | 27 | 11 | 6 | 10 | 36:34 | 39 | 7 | 5 | 1 | 23:10 | 26 | 4 | 1 | 9 | 13:24 | 13 |
| 8 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | 2:0 | 2:1 | 1:1 | | | | | 2:2 | 2:1 | 1:1 | 2:3 | | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:1 | 27 | 9 | 9 | 9 | 35:41 | 36 | 6 | 6 | 2 | 19:14 | 24 | 3 | 3 | 7 | 16:27 | 12 |
| 9 | ჯენოა | | 0:1 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 3:2 | 0:1 | 3:3 | | 2:1 | | 2:0 | | 1:3 | 2:1 | 1:1 | 1:0 | | | 2:0 | 27 | 9 | 8 | 10 | 31:37 | 35 | 6 | 3 | 5 | 17:18 | 21 | 3 | 5 | 5 | 14:19 | 14 |
| 10 | ატალანტა | | 1:2 | | 2:2 | 2:1 | 0:0 | 4:1 | 1:3 | | | 2:1 | 5:1 | 2:2 | 2:2 | | | 2:0 | | 2:2 | 2:2 | 27 | 8 | 10 | 9 | 40:41 | 34 | 5 | 6 | 2 | 27:19 | 21 | 3 | 4 | 7 | 13:22 | 13 |
| 11 | ლაციო | | | 2:3 | 0:1 | 1:5 | 0:1 | 2:1 | | 1:2 | 3:0 | | | 2:2 | | 2:0 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 3:1 | 27 | 8 | 9 | 10 | 31:33 | 33 | 7 | 2 | 5 | 20:16 | 23 | 1 | 7 | 5 | 11:17 | 10 |
| 12 | ნაპოლი | 1:0 | 0:2 | 3:1 | | | 3:1 | 2:0 | | 1:2 | | 2:2 | | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:3 | 1:1 | 0:2 | 27 | 9 | 6 | 12 | 37:42 | 33 | 7 | 3 | 4 | 19:15 | 24 | 2 | 3 | 8 | 18:27 | 9 |
| 13 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | | 1:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 4:4 | | 2:2 | 2:0 | 27 | 5 | 16 | 6 | 30:32 | 31 | 4 | 7 | 2 | 17:13 | 19 | 1 | 9 | 4 | 13:19 | 12 |
| 14 | სიენა | 2:3 | 3:0 | | 1:0 | 1:1 | | 1:2 | | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 2:3 | | 3:0 | 0:0 | 1:0 | 27 | 7 | 10 | 10 | 31:34 | 31 | 4 | 7 | 3 | 18:13 | 19 | 3 | 3 | 7 | 13:21 | 12 |
| 15 | კატანია | 0:2 | | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 0:0 | 1:2 | | | | | | 1:0 | 0:0 | 1:0 | | 2:1 | 27 | 6 | 9 | 12 | 23:33 | 27 | 6 | 4 | 3 | 14:9 | 22 | 0 | 5 | 9 | 9:24 | 5 |
| 16 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | 1:3 | 0:3 | | 0:0 | 3:1 | 2:4 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | 1:0 | | | 1:0 | | | 27 | 6 | 8 | 13 | 27:41 | 26 | 3 | 5 | 5 | 14:19 | 14 | 3 | 3 | 8 | 13:22 | 12 |
| 17 | პარმა | | 0:3 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 2:0 | 1:2 | | | 2:3 | | | 2:0 | 2:2 | 2:2 | 3:2 | | 1:0 | 3:0 | 1:1 | 27 | 5 | 10 | 12 | 32:43 | 25 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 20 | 0 | 5 | 8 | 10:24 | 5 |
| 18 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | | 0:2 | 1:3 | | | 3:1 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 2:0 | | | | 1:1 | 4:1 | 27 | 6 | 7 | 14 | 22:37 | 25 | 4 | 5 | 5 | 15:16 | 17 | 2 | 2 | 9 | 7:21 | 8 |
| 19 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 1:3 | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | | 1:3 | | 3:1 | 1:3 | | | | 2:0 | 27 | 4 | 10 | 13 | 21:41 | 22 | 4 | 4 | 6 | 14:17 | 16 | 0 | 6 | 7 | 7:24 | 6 |
| 20 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | | 1:2 | 0:1 | 0:3 | 0:1 | 2:1 | | 1:0 | 2:1 | | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | | | 27 | 5 | 6 | 16 | 22:45 | 21 | 4 | 3 | 6 | 11:16 | 15 | 1 | 3 | 10 | 11:29 | 6 |

# ჰოლანდიელი რაული ესპანელზე უკეთესია

**მცირე ხანიც და, ალბათ, უესლი სნეიდერი „რეალში“ ისევე შესანიშნავად ათამაშდება, როგორც ამას სეზონის დასაწყისში აკეთებდა. ჰოლანდიელმა ტრავმა ახლახან მოირჩინა და მზადაა, სამეფო გუნდს ძველებურად დაეხმაროს. „დეპორტივოსთან“ მატჩის წინ სნეიდერს „ასი“ გაესაუბრა**



**— ტრავმა სრულებით მოირჩინეთ?**

— თავს შესანიშნავად ვგრძნობ. იძულებული ვიყავი, ფეხბურთს სამი კვირით ჩამოვშორებოდი, მაგრამ ახლა ტკივილი აღარ მაწუხებს და ვიცი, რომ თამაშს მოვახერხებ. უფრო მეტიც, შესანიშნავ ფორმაში ვარ.

**— ეს „ესპანიოლთან“ მატჩშიც გამოჩნდა. ბარსელონელებთან მინდორზე მცირე ხანი დაჰყავით, თუმცა მეტოქის მცველებს სნეიდერის სახიფათო დარტყმებმა დიდი თავსატეხი გაუჩინა...**

— დიახ. მერწმუნეთ, „ესპანიოლთან“ ტკივილს არ შევუწუხებივარ. სამკვირიანი შესვენების შემდეგ, ეს ჩემი პირველი მატჩი იყო და მინდოდა, იმ 25 წუთის განმავლობაში საკუთარი ძალები შემემოწმებინა. შედეგით კმაყოფილი დავრჩი, გამოჩნდა, რომ მოედნის ცენტრში და სხვაგანაც, თამაშს ისევ სრულფასოვნად შევძლებ. საერთო ჯამში, ბედის სასაყვედურო არაფერი მაქვს — ტრავმის მიუხედავად, მაინც სწრაფად დავუბრუნდი ფეხბურთს.

**— უესლი სნეიდერის საუკეთესო თამაშს როდის ვნახავთ?**

— ძალიან მალე, ვიცი, რომ უკეთესად თამაში შემიძლია. უცხო კლუბში მისვლის პირველ წელს ბევრ რამესთან შეჩვევა გიწევს — ქალაქიც ახალია შენთვის, კლუბიც და ჩემპიონატიც. დარწმუნებული ვარ, მეორე სეზონი გაცილებით უკეთესი იქნება.

**— პატარაობისას ვინ იყო თქვენი ფავორიტი ფეხბურთელი?**

— როცა ბავშვთა გუნდში ვთამაშობდი, ტრიბუნაზე ყოფნისას „აიაქსის“ ძირითადი შემადგენლობიდან მუდამ იმ ფეხბურთელებს ვაკვირდებოდი, რომლებიც ჩემს პოზიციაზე თამაშობდნენ. ამგვარად, ჩემი ფავორიტი ფეხბურთელი ედგარ დავიდსი იყო. ისე, სულ პატარაობისას მარკო ვან ბასტენი უფრო მომწონდა „მილანში“ ფანტასტიკური წარმატებების გამო.

**— რახან ვან ბასტენი ახსენეთ, ისიც გვითხარით, ჰოლანდიის ნაკრებში მისი თავკაცობით თავს როგორ გრძნობთ...**

— ეროვნული გუნდის ამჟამინდელი დამრიგებელი მოედანზე დაცვით სისტემებს კარგად იცნობს, რადგანაც რამდენიმე წლის განმავლობაში იტალიურ სერია A-ში თამაშობდა. ვან ბასტენი გვასწავლის, როგორ უნდა ვიყოთ დაცვაში მაგრები ისე, რომ თავდასხმაში ეფექტურობა არ დავკარგოთ. საქმე რომ კარგად მიდის, ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩშიც გამოჩნდა, რომელიც 3:0 მოვიგეთ. ჩემთვის დიდი პატივია, ვთამაშობდე იმ ნაკრებში, რომელსაც მარკო ვან ბასტენი წვრთნის. იგი დიდი ფეხბურთელი იყო და ახლა დიდი დამრიგებელიცაა.

**— „რეალი“ სამომავალსეზონოდ ფორვარდს ეძებს. სამეფო გუნდს თქვენი თანამემამულის, ჰუნტელაარის ყიდვას თუ ურჩევდით?**

— ჰუნტელაარი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მგონი, 28 მატჩში 26 გოლი გაიტანა თუ რაღაც ასეთი. მსგავსი რამ კი, დამიჯერეთ, დიდი შრომის ფასად მიიღწევა. ოღონდ „აიაქსსა“ და „რეალში“ თამაში სხვადასხვა ფენომენია, რაც ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

**— რუუდ ვან ნისტელროის და სნეიდერს ჩემპიონთა ლიგაზე „რომას“ წინააღმდეგ რომ ეთამაშათ, „რეალი“ ტურნირს მაინც გამოეთიშებოდა?**

— აბა, რა გითხრათ... რადგან იმ დღეს მოედანზე არ ვიყავით, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. სამწუხაროა, ის ორი მატჩი რომ გამოვტოვე.

**— ალბათ იცით, რომ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, ლუის არაგონესი, ეროვნულ გუნდში რაულის დაბრუნებას არ აპირებს და თქვენმა კაპიტანმა, შეიძლება, ევროპის ჩემპიონატი გამოტოვოს. რაული რომ ჰოლანდიელი იყოს, თქვენ კი ნაკრების თავკაცი, რაულს გუნდში დაუძახებდით?**

— რას ამბობთ?! ნეტავ რაულს ჩვენთან თამაში შეეძლოს... მცირედი შანსიც რომ არსებობდეს მისი ჰოლანდიელობისა, აუცილებლად იქნებოდა ნაკრებში. თუმცა ეს, როგორც ვიცით, ფანტაზიის სფეროა...

**— შაბათს „დეპორტივოს“ წინააღმდეგ უნდა ითამაშოთ. „რიასორის წყევლის“ შესახებ რამე თუ გსმენიათ?**

— დიახ, ვიცი ამის შესახებ. მითხრეს, რომ „რეალი“, აგერ უკვე 17 წელიწადია, ამ სტადიონზე ვერ იგებს. ჩვენი უიღბლობა რაღაც ძალიან დიდხანს გაგრძელდა და ამ ამბავს ჰეფი ენდი ანუ „რეალის“ „რიასორზე“ გამარჯვება მოუხდება... ასეა თუ ისე, გალისიაში მაინც საომრად ჩავალთ...

**ლადო ხომერიკი**

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბეტისი | : | ბილბაო |
| უელვა | : | მურსია |
| დეპორტივო | : | რეალი |
| ვალენსია | : | სევილია |
| **ხვალ** | | |
| ატლეტიკო | : | ლევანტე |
| ვილიარეალი | : | სარაგოსა |
| ალმერია | : | ბარსელონა |
| ვალიადოლიდი | : | ოსასუნა |
| ხეტაფე | : | რასინგი |
| ესპანიოლი | : | მალიორკა |

# ესპანეთი
# რიასორის წყევლა

**დღეს** მადრიდის „რეალს“ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან, გალისიურ „დეპორტივოსთან“ უწევს შერკინება. სამეფო თეთრებისთვის ლაკორუნიელთა „რიასორი“ უკვე 17 წელიწადია, მიუღგომელ ბასტიონად გადაიქცა. „რეალს“ ამ ხნის განმავლობაში „დეპორის“ მამულში გამარჯვების სიხარული არ უნახავს. დღევანდელი მატჩისთვის კი მადრიდელებს ფაბიო კანავარო დაუბრუნდათ, ვან ნისტელროის და არიენ რობენის მწყობრში ჩადგომასაც ვარაუდობენ. სერხიო რამოსი კი „დაწყევლილ“ სტადიონზე დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

მადრიდელებს ჩემპიონობის მაძიებელ „ბარსასთან“ 8 ქულა აშორებს, „დეპორტივო“ კი „ვალენსიასთან“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ სეგუნდაში გასავარდნ ზონას 2 ქულითაა აცილებული. ტრავმის გამო გალისიელთა მუნუას თამაში საეჭვოა.

„ვალენსიას“ დღევანდელი სტუმარი „სევილიაა“, მალე კი „ღამურებს“ „ბარსასთან“ სათასო ომიც მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ „მესტალიაზე“ ფრიად არეული სიტუაციაა, კლუბი ახლახან პრეზიდენტმა სოლერმა დატოვა. „სევილიასთან“ ჯახში გუნდს ტრავმამორჩენილი მორიენტესი დაუბრუნდება, თუმცა მუხლმტკივანი ვისენტე ვერ ითამაშებს. სტუმართა დანაკლისი კი დრაგუტინოვიჩი და, სავარაუდოდ, ესკუდე იქნებიან.

დღეს პრიმერაში კიდევ ორი ჯახი იქნება. „სეგუნდასთან სახიფათოდ მოლაციცე „მურსია“ უმნიშვნელოვანეს პაემანს გეგმავს „უელვასთან“, ხოლო გასავარდნ ზონასთან ასევე მიახლოებული „ბეტისი“ და „ბილბაო“ ერთმანეთს სევილიურ „რუის და ლოპერაზე“ შეერკინებიან. „უელვას“ „მურსიასთან“ ტრავმირებული ვარელა გამოაკლდება, „ბეტისს“ — დაჯარიმებული მელი, ხოლო „ბილბაოს“ ასევე სანქციააკიდებული ამორებიეტა ვერ დაეხმარება.

„ვილიარეალმა“ წინა ტურში „კამპ ნოუზე“ „ბარსელონა“ გაამწარა, ახლა კი „ყვითლებს“ შინ „სარაგოსასთან“ ომი უწევთ. არაგონული გუნდი სეგუნდადან ორი ნაბიჯის, ორი ქულის სიახლოვესაა და, ცხადია, მანოლო ვილიანოვას შეგირდები „ყვითლებთან“ გულხელდაკრეფილები არ გაჩერდებიან. „სარაგოსას“ ხუანფრანი დაჯარიმებულია და მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

„ვალიადოლიდმა“ ამ სეზონში შინაურ „ხოსე ზორილაზე“ მხოლოდ ოთხი თამაში მოიგო. კვირას „ბულდოგები“ „ოსასუნას“ მასპინძლობენ და ამ ჯახში პედრო ლოპესი გამოაკლდებათ. ნავარელებს კი „ზორილაზე“ დისკვალიფიცირებული პუნიალი არ ჩაჰყვებათ.

მიქაელ ლაუდრუპის „ხეტაფეს“ ახლა ძირითადი ყურადღება კოპა დელ რეისა და უეფას თასზე აქვს გადატანილი, თუმცა მადრიდელებს პრიმერაც თავს ახსენებს. „რასინგთან“ ლაუდრუპი, სავარაუდოდ, წამყვან ფეხბურთელებს დაასვენებს, რათა მათ შემდეგ კოპა დელ რეიზე ჩაუქად ითამაშონ.

„ესპანიოლს“ „მალიორკას“ სტუმრობისას დაჯარიმებული მეკარე კარლოს კამენი და რაულ ტამუდო არ ეყოლება. მასპინძელი კატალონიური გუნდი საევროტურნირო პოზიციებისთვის იბრძვის, მომხვდურები კი — პრიმერაში დასარჩენად.

„ბარსელონას“ თუ წლეულს პრიმერას ოქროსმედალოსნობის სურვილი სრულად არ დაუკარგავს, ქულათა განიავებას უნდა შეეშვას და ხვალ „ალმერიასთან“ ივაჟკაცოს. კატალონიელთა შემადგენლობაში ვერ იქნება დისკვალიფიცირებული ჯანლუკა ძამბროტა, ტურეს და დეკუს კი ტრავმები აწუხებთ და მათი თამაში საეჭვოა.

„ატლეტიკოს“ უმწეო „ლევანტესთან“ მატჩის წინ ლეო ფრანკო და სეიტარიდისი გამოუჯანმრთელდა, ვალენსიელებს კი დაჯარიმებული მიგელ ანხელი დააკლდებათ.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | | 3:2 | 2:1 | 3:1 | | 2:1 | 3:1 | 0:1 | | 4:3 | | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 7:0 | 2:0 | | | 27 | 20 | 2 | 5 | 59:24 | 62 | 12 | 0 | 1 | 35:11 | 36 | 8 | 2 | 4 | 24:13 | 26 |
| 2 | ბარსელონა | 0:1 | | 1:2 | 3:0 | 1:0 | 2:1 | | 2:0 | | | | 3:1 | 1:0 | 4:1 | 3:0 | 2:1 | | 3:0 | 4:0 | 5:1 | 27 | 16 | 6 | 5 | 52:23 | 54 | 12 | 0 | 2 | 34:8 | 36 | 4 | 6 | 3 | 18:15 | 18 |
| 3 | ვილიარეალი | 0:5 | 3:1 | | | 0:0 | 3:2 | | 1:1 | | 3:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | | 0:1 | 4:3 | | 1:1 | 2:0 | 3:0 | 27 | 15 | 5 | 7 | 45:36 | 50 | 7 | 5 | 2 | 22:15 | 26 | 8 | 0 | 5 | 23:21 | 24 |
| 4 | ატლეტიკო | 0:2 | 4:2 | 3:4 | | 4:0 | 4:3 | 1:2 | | 1:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 4:0 | | | 4:3 | | 1:1 | | 27 | 13 | 5 | 9 | 45:32 | 44 | 8 | 2 | 4 | 31:20 | 26 | 5 | 3 | 5 | 14:12 | 18 |
| 5 | რასინგი | | 0:0 | 0:2 | 0:2 | | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 1:0 | | 2:2 | 3:0 | | 2:0 | | | 1:0 | 27 | 12 | 8 | 7 | 28:25 | 44 | 8 | 3 | 2 | 17:8 | 27 | 4 | 5 | 5 | 11:17 | 17 |
| 6 | სევილია | 2:0 | 1:1 | | | 4:1 | | 2:3 | | 4:1 | 3:0 | 1:2 | | 2:1 | 5:0 | 3:0 | 0:1 | | 4:1 | 3:1 | 2:1 | 27 | 13 | 3 | 11 | 54:36 | 42 | 10 | 1 | 3 | 36:13 | 31 | 3 | 2 | 8 | 18:23 | 11 |
| 7 | ესპანიოლი | 2:1 | 1:1 | 3:0 | | | 2:4 | | | 1:0 | 2:0 | | 2:1 | | | 1:2 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 27 | 12 | 6 | 9 | 38:34 | 42 | 7 | 2 | 4 | 17:12 | 23 | 5 | 4 | 5 | 21:22 | 19 |
| 8 | ალმერია | 2:0 | | | 0:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | | 0:2 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 1:0 | 1:0 | | 1:0 | | 27 | 10 | 7 | 10 | 23:25 | 37 | 7 | 3 | 4 | 12:8 | 24 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| 9 | ხეტაფე | 0:1 | 2:0 | 1:3 | | | 3:2 | 0:1 | | | 0:0 | 3:3 | 2:0 | | | | 0:0 | 0:3 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 27 | 10 | 6 | 11 | 35:35 | 36 | 5 | 4 | 4 | 16:15 | 19 | 5 | 2 | 7 | 19:20 | 17 |
| 10 | ვალენსია | 1:5 | 0:3 | 0:3 | | | | 1:2 | 0:1 | 2:1 | | | 0:3 | | | 3:1 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 0:0 | 27 | 10 | 6 | 11 | 30:39 | 36 | 4 | 3 | 6 | 15:23 | 15 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| 11 | მალიორკა | | 0:2 | 0:1 | 1:0 | | | 2:2 | 0:0 | 4:2 | 0:2 | | 0:0 | | | 1:1 | | 4:2 | 7:1 | 1:1 | 3:0 | 27 | 7 | 13 | 7 | 44:40 | 34 | 5 | 5 | 3 | 23:14 | 20 | 2 | 8 | 4 | 21:26 | 14 |
| 11006 | ფულემი-ევერტონი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11007 | ლივერპული-რედინგი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | [illegible] | [illegible] |
| 11008 | სიტი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11009 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11010 | სანდერლენდი-ჩელსი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11012 | ვესტ ჰემი-ბლეკბერნი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11013 | უიგანი-ბოლტონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11096 | აბერდინი-გრეტნა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11099 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11100 | ინვერნესი-ფოლკირკი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11101 | მაზერველი-სელტიკი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11103 | სტ.მირენი-ჰარტსი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11124 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11126 | ჰანზა-ჰერტა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11127 | ჰანოვერი-არმინია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11128 | კარლსრუე-აინტრახტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11129 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11132 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11133 | კოტბუსი -ბაიერნი | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11135 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11136 | ოსნაბრიუკი-აუგსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11137 | ფრაიბურგი-კიოლნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11138 | ჰოფენჰაიმი-აუე | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11139 | ფიურტი-კობლენცი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11141 | მიონხენგლადბახი-ზტ.პაული | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11142 | მიუნხენი 1860-მაინცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11165 | ტიროლი-ალტახი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11166 | შტურმი-რიდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11167 | ზალცბურგი-ლინცერი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11168 | ავსტრია-ავსტრია კერნტენი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11178 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11179 | ქსამაქსი-თუნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11180 | აარაუ-ციურიხი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11181 | სიონი-ბაზელი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11195 | ინტერი-პალერმო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11197 | ლივორნო-პარმა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11198 | რეჯინა-სიენა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11199 | კალიარი-ტორინო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11200 | სამპდორია-კატანია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11201 | ატალანტა-ემპოლი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11202 | ფიორენტინა-ჯენოა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11203 | უდინეზე-ლაციო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11204 | რომა-მილანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11205 | იუვენტუსი-ნაპოლი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11207 | ბოლონია-პიაჩენცა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11208 | ტრიესტინა-რავენა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11209 | აველინო-რიმინი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11210 | ვიჩენცა-ტრევიზო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11211 | პიზა-ალბინოლეფე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11212 | კიევო-ასკოლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11213 | მანტოვა-ბრეშა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11214 | ბარი-ფროზინონე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11215 | მესინა-გროსეტო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11216 | სპეცია-ლეჩე | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11217 | ჩეზენა-მოდენა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11236 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11238 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11240 | ალმერია-ბარსელონა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11242 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11243 | ბეტისი-ბილბაო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11244 | ხეტაფე-რასინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11245 | უელვა-მურსია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11246 | ესპანიოლი-მალიორკა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11247 | დეპორტივო-რეალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11249 | ვალენსია-სევილია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11250 | ფეროლი-სპორტინგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11251 | ჰერკულესი-ალავესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11252 | სალამანკა-კორდობა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11253 | ტენერიფე-კასტელონი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11254 | გრანადა -ეიბარი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11255 | კადისი-ეხიდო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11256 | სევილია ბ-ლას პალმასი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11257 | მალაგა -ელჩე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11258 | ტარაგონა-სერესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11259 | სელტა-ალბასეტე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11260 | სოსიედადი-ნუმანსია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11261 | ლილი-კაენი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11262 | მონაკო-ლიონი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11264 | ლანსი-მარსელი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11265 | სოშო-ნანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11267 | მეცი-ნიცა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11268 | ლე მანი-რენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11269 | ბორდო-სტრასბური | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11271 | სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11272 | პსჟ-ვალენსიენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11273 | ლორიანი-ოსერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11279 | გრენობლი-ლიბურნი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11280 | გენიონი-ნანტი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11284 | ლოკერენი-დენდერი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11285 | მეხელენი-გენკი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11286 | მუსკრონი-შარლერუა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11287 | მონსი-ვარეგემი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11288 | სტ.ტრუიდენი-სერკლი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11289 | ვესტერლო-გენტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11290 | ანდერლეხტი-რუზელარე | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11291 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11306 | ტვენტე-ვიტესი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11307 | გრაფსხაპი-ჰერაკლესი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11308 | ფეიენოორდი-ვენლო | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11309 | ბრედა-ექსელსიორი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11311 | უტრეხტი-ალკმაარი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11312 | აიაქსი-ტილბურგი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11314 | ნაიმეგენი-სპარტა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11315 | როდა-პსვ | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11336 | ემენი-დენ ჰააგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11337 | ბოავიშტა-ამადორა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11338 | ლეშოეში-პორტუ | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11340 | მარიტიმუ-ბენფიკა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11342 | ფერეირა-სპორტინგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11343 | ბრაგა-ნავალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11344 | სპორტინგი-ნასიონალი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11347 | აკადემიკა-ბელენენსეში | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11364 | კონია-ფენერბაჩე | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11366 | ანკარა-გალათასარაი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11369 | კაისერი-გენჩლერბირლიგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11370 | ანკარაგიუჯუ-ოფეთისპორი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11371 | კასიმპაშა-ისტანბული | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11373 | ბეშიქთაში-ტრაბზონი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11375 | ბურსა-რიზე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 12-13 მარტი

### D ჯგუფი

**პანათინაიკოსი 77:76 სიენა**

პანათინაიკოსი: ბატისტე (18), სპანოულისი (13)
სიენა: ტორნტონი (19), მაკანტირი (15)

**ეფესი 79:83 პარტიზანი**

ეფესი: პენი (33), აბი (12)
პარტიზანი: პეკოვიჩი (22), ტრიპკოვიჩი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 5 | 3 | 2 | +25 | 8 |
| პარტიზანი | 5 | 3 | 2 | +1 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 3 | 2 | -7 | 8 |
| ეფესი | 5 | 1 | 4 | -19 | 6 |

### E ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი 87:84 ფენერბაჰჩე**

რიტასი: პრაისი (22), ეიდსონი (16)
ფენერბაჰჩე: კინსი (20), სოლომონი (18)

**ტაუ 90:74 არისი**

ტაუ: სპლიტერი (18), პრიჯიონი (16)
არისი: მესი (26), ბოისა (12 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 5 | 5 | 0 | +59 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 3 | -11 | 7 |
| რიტასი | 5 | 2 | 3 | +8 | 7 |
| არისი | 5 | 1 | 4 | -56 | 6 |

### F ჯგუფი

**ჟალგირისი 52:61 ოლიმპიაკოსი**

ჟალგირისი: მასიულისი (10), ბრაუნი (9)
ოლიმპიაკოსი: გრირი (14), ჯექსონი (11)

**რეალი 100:103 მაკაბი**

რეალი: რეიესი (21), ბალოკი (17)
მაკაბი: მორისი (23), ჰალპერინი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | +6 | 8 |
| რეალი | 5 | 3 | 2 | +5 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 2 | -2 | 8 |
| ჟალგირისი | 5 | 1 | 4 | -9 | 6 |

### G ჯგუფი

**ცსკა 93:70 უნიკახა**

ცსკა: გორეე (16), სმოდიში (14)
უნიკახა: გაბრიელი (14), სანტიაგო (13)

**რომა 68:63 ბარსელონა**

რომა: ლორბეკი (16), გაბინი (6)
ბარსელონა: გრიმაუ (21), ტრაისი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 1 | +64 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 3 | +8 | 7 |
| უნიკახა | 5 | 2 | 3 | -27 | 7 |
| რომა | 5 | 2 | 3 | -45 | 7 |

# შესაძლოა, ოთხთა ფინალი მასპინძლის გარეშე დარჩეს

**ევროლიგის** მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურმა საინტერესოდ ჩაიარა და მეოთხედფინალში გამსვლელთა ნახევარიც გამოირკვა. პლეი ოფში აქამდეც ადგილდაბევებულ ესპანურ „ტაუს“ კიდევ სამი გუნდი შეუერთდა და ისე გამოვიდა, რომ თითო ჯგუფიდან თითომ გაინაღდა მეოთხედფინალი.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიურმა „სიენამ“ ათენში „პანათინაიკოსთან“ წააგო, მაინც დაიბევა ჯგუფიდან გასვლა. ბოლო ტურში სიენელები ბოლოადგილოსან „ეფესს“ ხვდებიან და რომც წააგონ, მეორე ადგილზე დაბლა აღარ დაეშვებიან. სამაგიეროდ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გააჩაღებენ „პანათინაიკოსი“ და „პარტიზანი“, რომლებიც ცხრილში გვერდიგვერდ არიან და მეოთხედფინალის საგზურს ბოლო ტურში, პირად შერკინებაში გაითამაშებენ.

E ჯგუფში კი, სადაც ევროლიგის ერთადერთი ჩვენიანი გამოდის, სამივე გუნდს აქვს გასვლის შანსი. „ტაუს“ პირველობას ვერავინ შეეცილება, ხოლო ვლადიმერ ბოისას „არისს“, „ფენერბაჰჩეს“ და „ლიეტუვოს რიტასს“ დიდი ნერვიულობა მოუწევთ — ამათგან ერთს ერგება საპლეიოფო საგზური.

„არისი“ „ლიეტუვოს რიტასს“ მასპინძლობს და რომც მოიგოს, შესაძლოა, მაინც მეოთხედფინალს მიღმა აღმოჩნდეს. ამჟამად მეორეზე მყოფი „ფენერბაჰჩე“ უმოტივაციოდ დარჩენილ „ტაუს“ თურქეთში ეთამაშება, დიდი შანსია, იმარჯვოს და დანარჩენი ორი გუნდის მონდომებას აზრი დაუკარგოს.

„არისმა“ ამ ტურში უიმედოდ წააგო სტუმრად „ტაუსთან“, ბოისას ანგარიშზე კი 12 წუთში 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი დაგროვდა.

უდაძაბულესი და უპრინციპულესი ჯახი მოიგო თელ ავივის „მაკაბიმ“ მადრიდში, სადაც „რეალი“ დამატებით დროში დაამარცხა და მეოთხედფნალის საგზური ირგუნა. ამავე ჯგუფში „ჟალგირისმა“ შინ წაიფორხილა „ოლიმპიაკოსთან“ და საპლეიოფო შანსიც დაკარგა. ბოლო ტურში აქაც დიდი ჯახია: ან მომავალი „ოთხთა ფინალის“ მასპინძელი „რეალი“ უნდა დარჩეს ჯგუფში, ან „ოლიმპიაკოსი“.

და D ჯგუფი, რომელშიც მოსკოვის ცსკა-მ „უნიკახა“ გათელა და პირველობა გაინაღდა. მეორეზე, ანუ მეოთხედფინალში გასვლის შანსი კი დანარჩენ სამივე გუნდს თანაბრად აქვს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 მარტი

**ვაშინგტონი 101:99 კლივლენდი**

ვაშინგტონი: ბატლერი (19), ჯემისონი (17 ქულა, 10 მოხსნა), სონგაილა (15), ჰეივუდი (14)
კლივლენდი: ჯეიმსი (25 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), პავლოვიჩი (24)

**საკრამენტო 96:85 პორტლენდი**

საკრამენტო: არტესტი (22), უდრიხი (14 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი)
პორტლენდი: როი (21), ოლდრიჯი (20)

**ფინიქსი 123:115 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (21 ქულა, 13 პასი), ბელი (18), დიაო (16)
გოლდენ სტეიტი: დევისი (38 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ელისი (23), პიეტრუსი (16)

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან კალათბურთელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გელა დარსაძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო



# ბიორკმანი წლევანდელი კორტზე ითვლის



**ინდიან უელსში** ბობოლების კორტზე გასვლის ჯერი კვლავ არ დამდგარა — კაცებმა პირველი წრე მხოლოდ გუშინ გახსნეს და ამიტომ შაბათს გამთენიისას ისევ რანგით უფრო დაბალი მეჩოგნეები ითამაშებდნენ. სამაგიეროდ, ქალებმა საბოლოოდ გაარკვიეს მეორე წრის წყვილთა ვინაობა და ფავორიტთა ნაწილს უკვე მოუწევს კალიფორნიის თაკარა მზის ქვეშ თავიანთი პირველი გამოცდის ჩაბარება — მათ რიცხვში ტურნირის მეორე და მესამე ნომრები, სვეტლანა კუზნეცოვა და მარია შარაპოვა იქნებიან.

თუმც ეს მომავლის ამბავია, ჩვენ კი გუშინ მომხდარს მივუბრუნდეთ ერთი-ორი სიტყვით. რადგან ვთქვით, ქალებმა პირველი წრის შეხვედრებს ბოლო მოუღესო, მოდით, ისევ მათი სიახლეებით დავიწყოთ.

სეზონის ამაზრზენად დაწყების შემდეგ ოდნავ მოუმატა ვანია კინგმა — არცთუ დიდი ხნის წინ ამ ჩოგბურთელს ამერიკის იმედს ეძახდნენ და მასში ლამის ახალ ვინუს თუ სერენა უილიამსს ხედავდნენ, მაგრამ ბოლო წელიწადნახევარმა ყველას დაანახა, რომ ამ მეჩოგნეს შავდების არაფერი სცხია და დიდი-დიდი, საუკეთესო 50-ეულში შეძლოს დამკვიდრება. თუმც წლეულს კინგს ესეც სანატრელი აქვს, რადგანაც 4 ტურნირში ითამაშა და აქედან სამში პირველივე შეხვედრაში დამარცხდა. ამჯერად კინგი გადარჩა და ლუქსემბურგელ ენ კრემერს დიდი წვალებით გასცდა. ევროპელმა პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ მერე შეცდომებს უმატა და სათავისოდ კარგს ვერაფერს გამორჩა.

თავისი მატჩი მოიგო რუმინელმა იოანა რალუკა ოლარუმაც. ამ ჩოგბურთელს ყურადღებას ნაკლებად მივაქცევდით, მაგრამ მისი შემდეგი მეტოქე ტურნირის პირველი ნომერი ანა ივანოვიჩი იქნება და რუმინელზეც ამიტომ მოგახსენეთ — გუშინ კი ოლარუ ჩინელ მენგ იუანს გაუმკლავდა.

გაცილებით საინტერესო გამოდგა კაცთა შეხვედრები. კარგად დაიწყო რობი ჯინეპრიმ, რომელსაც საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა თანამემამულე ვინსენტ სპადეას გასანადგურებლად. ჯინეპრი, რომელიც ორიოდ წლის წინ საუკეთესო 15 ჩოგბურთელს შორის იყო, მაგრამ შემდეგ ასეულს გარეთ აღმოჩნდა, წლეულს საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება და რეიტინგში წინაც მიიწევს — ინდიან უელსში წარმატებული გამოსვლით კი ჯინეპრი კიდევ უფრო წინ წაწევას გეგმავს.

ნაკლებ დაძაბული გამოდგა მეორე იანკური დერბიც — დონალდ იანგმა ჯინეპრის დარად მხოლოდ საათი იმყოფინა ბობი რეინოლდსის მიწასთან გასასწორებლად. სხვათა შორის, იანგისთვის ეს მასტერსის ტურნირზე მოპოვებული პირველი გამარჯვება იყო.

მეორე წრეში კინალამ გაძვრა კიდერ ერთი მასპინძელი ჯეს ლევაინი. ახალგაზრდა ამერიკელმა ბლომად თავსატეხი გაუჩინა თავისზე გაცილებით გამოცდილ შვეიცარიელ სტანისლას ვავრინკას, ალპელი ორსაათნახევარი შეუჩერებლად არბენინა კორტზე და მხოლოდ ამის შემდეგ გამოფინა თეთრი დროშა — 7:5 4:6 6:4 ვავრინკას სასარგებლოდ.

მოიგო ტურნირის ყველაზე ხანდაზმულმა მეჩოგნემ, იონას ბიორკმანმა, რომელსაც 36 წელი ერთ კვირაში უსრულდება. მან ფილიპო ვოლანდრი მიჩოგნა და ამით კალიფორნიაში მე-16 ნომრად განთესილ გილერმო კანასთან რანდევუ გაინაღდა.

**კახა ლომაშვილი**

# ქართული ნახევარფინალის მოლოდინში




**ქაიროს** თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე, შესაძლოა, ქართული ნახევარფინალი ვიხილოთ — მანანა შაფაქიძემ და ოქსანა კალაშნიკოვამ ეგვიპტურ გრუნტზე, უკვე ორ-ორი მეტოქე დაამარცხეს, მეოთხედფინალს უწიეს და ამ ბარიერსაც თუ გადალახავენ, ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილმა შაფაქიძემ 7:5 6:3 დაჯაბნა 17 წლის სლოვენიელი ჟასმინა კაიტაზოვიჩი და ახლა ტურნირის მეორე ნომერს, ასევე 17 წლისა და რეიტინგში 434-ე პოზიციაზე მყოფ რუმინელ ალექსანდრა კადანტუს შეხვდება.

რაც შეეხება კალაშნიკოვას, ვინც ქაიროში მე-8 ნომრადაა განთესილი, ამ წრეში 6:2 6:1 გაანადგურა კვალიფიკაციიდან წამოსული ურეიტინგო რუმინელი ვერონიკა პოპოვიჩი და მეოთხედფინალში კი მისი მეტოქე, 21 წლის ჩეხი სიმონა დობრა იქნება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 616-ე პოზიცია უკავია.

კვარციტი QUARTZITE
ლიბო
უძრავი ქონება

# ქვიშა, თოვლი და სპონსორები



ზაფხულში პლაჟის რაგბი ქობულეთში, ახლა თოვლისა, ბაკურიანში: სარბიელელები ამ ორივე ფესტივალის უშუალო მონაწილენი ვართ და საკუთარი გამოცდილებით, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი ტურნირები გაჯანსაღებისა და გართობის საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო, რომ ორგანიზატორთა გარდა სპონსორებმაც – ლიბომ, ყაზბეგმა, სასტურო თბილისმა, ავსტრიის ავიახაზებმა, LIVE-ბარმა და მედოფმა – მონაწილეებს საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს.
რამდენიმე დღის წინ დასრულებული ბაკურიანული ტურნირის თაობაზე უკვე მოგითხრეთ, დღეს კი ორგანიზატორთან, ქვიშის რაგბის კავშირის პრეზიდენტ კახა მხეიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ

— შარშანდელმა ტურნირმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დამსვენებლებმა მაგრად იხალისეს, მონაწილეებიც ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. შეჯიბრის შემდეგ უამრავი ადამიანი და ორგანიზაცია დაგვიკავშირდა, გვთხოვენ, სამომავლოდ ისინიც ვათამაშოთ სახალისო რაგბიში. ახლა გადავწყვიტეთ, რომ სეზონი არ ჩაგვეგდო და თოვლის რაგბიშიც მოგვეწყო ტურნირი. საერთოდ, წელიწადში სამი ტურნირის ორგანიზებას ვაპირებთ, ბაკურიანში გამართული თოვლის რაგბობა კი, ქობულეთის მერე მეორე ტურნირი იყო.

— როგორც ორგანიზატორი, კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა, რადგან ყველაფერი კრაგად გაკეთდა და მოთამაშეებთან ერთად, დამსვენებლებმაც იხალისეს. მთავარია, სპონსორები დარჩნენ კმაყოფილნი. ისინი რომ არა, ვერაფერს შევძლებდით და ასეთ ლამაზ ტურნირს ვერ ჩავატარებდით. დიდი მადლობა თქვენ, ჟურნალისტებს, რომლებმაც, მართლაც ღირსეულად ითამაშეთ და ტურნირიც შესაბამისად გააშუქეთ.

**— თქვით, რომ წელიწადში სამი ტურნირის ჩატარებას აპირებთ. წლეულს თოვლის რაგბის პირველი ტურნირი იყო. დარჩენილ ორ ტურნირს როდის და სად ჩაატარებთ?**

— აგვისტოში შარშანდელივით ქობულეთში იქნება პლაჟის რაგბი, რომელშიც კვლავ მოყვარულები ითამაშებენ, შემოდგომაზე, თბილისობას კი, რიყეზე ჩავატარებთ ქვიშის რაგბის ტურნირს. ამას შარშანაც ვაპირებდით, მაგრამ იცით, თბილისში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და ამისთვის არავის ეცალა. იმედია, წლეულს ყველაფერი კარგად იქნება.

**— ზამთარშიც, ზაფხულშიც, თბილისობაზეც საქართველოში უამრავი უცხოელია. აპირებთ, ტურნირები საერთაშორისო გახადოთ?**

— წლეულსვე თუ შევძელით, ძალიან კარგი იქნება. სამომავლოდ კი სამივე ტურნირს საერთაშორისოს გავხდით.

**— ქვიშის რაგბიში, პროფესიონალებში, მსოფლიო ტურები ტარდება. გიფიქრიათ საქართველოს პროფესიული ნაკრების გაკეთებაზე?**

— საქართველოს რაგბის კავშირთან ერთად ამაზეც ვზრუნავთ და გეგმები გვაქვს, ქვიშის რაგბიში ჩვენი ნაკრები გავაკეთოთ. მსოფლიო ტურებზე თამაშიც გვინდა, თუმც ეს სამომავლო ამბავია და ყველაფერს კარგად აწონ-დაწონვა სჭირდება.

**ბაჩო სვანიძე**

# იდუმალი დათვები და სარუსეთო რუმინეთი

**დღეს** კრასნოდარში „ერთა თასზე“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება — რუსეთის ნაკრები რუმინეთის ეროვნულ გუნდს მიიღებს და გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენს „ლელოებს“ ცხრილში გადაასწრებს, თუმცალა, თამაშით მეტიც ექნება. კლოდ სორელი „დათვებს“ საგანგებოდ ავარჯიშებს. მან წინა ტურის შემდეგ საჯაროდ დაიწუწუნა, დაცვა არ გვივარგაო და ახლა, განსაკუთრებულად დამოძღვრილი რუსები რუმინელებთან ისტორიული გამარჯვების მოპოვებას შეეცდებიან. გუშინდლისთვის „დათვების“ შემადგენლობა უცნობი იყო, „მუხის ფოთლებმა“ კი დაასახელეს საკრასნოდარო ამქარი.

რუმინეთის ნაკრები რუსეთთან: *ნერე, ბასალაუ, პაულიკა, ლაზარი, ზებეგა, მიჰალაჩე, ურსაჩე, კოსტე, კრისტიანი, რუსი, მერსოუ, კარპო, მაკოვეი, ანდრეი, კაპლესკუ, დიმოფტე, დუმბრავა, გალი, დასკალუ, ვლადი, ბიჯუ, ჩიენტუ, ვლაიკუ, ალექსანდრუ, ფერკუ.*

**ზურაბ მიგრიაული**



# რეგულარული ჩემპიონატი

NHL

13 მარტი

**ფინიქსი 2:0 ვანკუვერი**
*0:0 1:0 1:0*
1:0 კაპანენი (31), 2:0 ვინიკი (48)

**მინესოტა 3:4 ნიუ ჯერსი**
*2:0 1:2 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ვეიო (4), 2:0 ბარნსი (13), 2:1 ვიშნევსკი (26), 2:2 ჯიონტა (34), 3:2 გაბორიკი (40), 3:3 ზუბრუსი (46)

**ატლანტა 6:4 კალგარი**
*0:2 3:2 3:0*
0:1 ლენგკოუ (14), 0:2 იგინლა (18), 0:3 იგინლა (23), 1:3 კოვალჩუკი (25), 2:3 არმსტრონგი (5), 2:4 პრიმო (33), 3:4 კოვალჩუკი (38), 4:4 ტორბერნი (51), 5:4 ჰოლიკი (57), 6:4 კოვალჩუკი (59)

**დეტროიტი 5:3 დალასი**
*1:1 1:2 3:0*
0:1 დეილი (2), 1:1 ფრენცენი (8), 1:2 ლეჰტინენი (21), 1:3 მოროუ (34), 2:3 დაციუკი (37), 3:3 დაციუ[illegible] (4[illegible]), 4:3 [illegible]სონი (42), 5:3 ფილპულა (60)

**მონრეალი 0:3 ოტავა**
*0:1 0:2 0:0*
0:1 სპეცა (9), 0:2 სპეცა (21), 0:3 ვერმეტი (39)

**ნეშვილი 1:4 ლოს ანჯელესი**
*0:0 1:1 0:3*
1:0 დიუმონი (29), 1:1 ფროლოვი (39), 1:2 დელმანი (46), 1:3 ფროლოვი (51), 1:4 ელისი (59)

**ბოსტონი 1:3 ტამპა**
*0:1 0:1 1:1*
0:1 ჰელპერნი (8), 0:2 კარლსონი (28), 1:2 კობასიუ (48), 1:3 ლეკავალიე (60)

**კოლორადო 5:1 ედმონტონი**
*1:0 4:1 0:0*
1:0 ფინგერი (19), 2:0 ჰლინკა (21), 3:0 არნასონი (24), 3:1 განიე (28), 4:1 ჯონსი (35), 5:1 ვოლსკი (37)



# აბუ ისევ გუდაურშია

**„აბუ** ყველას გულშია და აბუ გუდაურშია“ — გვითხრა საბაგიროს კონტროლიორმა, როცა გაიგო, რომ „აბუს თასზე“ ვიყავით ჩასულები. მან ათიოდე სტუმარი უბილეთოდ გაგვიშვა და, ყოველთვის აბუს მეგობრების სამსახურში მიგულეთო.

აბუს მეგობრებმა კი შექმნეს კლუბი „აბუ“, რომელიც 2004 წლიდან მოზარდებს შორის ტურნირს ატარებს სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრება გუდაურში ტრაგიკულად გარდაცვლილი ხელოვანის და მოთხილამურის, თემურ აბუთიძის ხსოვნას ეძღვნება და ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

„აბუს თასზე“ ორმოცდაათამდე ახალგაზრდა სპორტსმენმა მოსინჯა ძალები. საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულ მონაწილეებს სომეხი მოთხილამურეებიც შეუერთდნენ. ტურნირი 12-13 მარტს გაიმართა სლალომსა და გიგანტურ სლალომში. იყვნენ გამოკვეთილი ფავორიტები, მაგრამ ზოგ ასაკში საკმაოდ დაძაბულად განვითარდა მოვლენები. „აბუს“ გარდამავალი თასი სამუდამოდ დარჩა მის სამგზის მომგებ გუდაურელ ნინო წიკლაურს. ორმა სომეხმა მოთხილამურემ — ტატევიკ მურადიანმა და ვაგან ხაჩატრიანმა — ბრინჯაოს მედლებს გამოჰკრა ხელი. ორჭიდის ჯამში 1995-96 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის პირველ ადგილზე სუსანა გაავა (ბაკურიანი) გავიდა, მეორეზე — თაკო ბაქრაძე (ბაკურიანი), მესამეზე — ხატია მგელაძე (ბაკურიანი). 1993-94 წლებში დაბადებულთა შორის ნინო წიკლაურმა (გუდაური) მოიპოვა ოქრო, ხოლო ნატაშა გაავამ (ბაკურიანი) და თამუნა ჯლამაძემ (გუდაური) მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. 1992-იანებში კი ნინო ნაზღაიძემ (გუდაური) იპირველა, თეონა მელიქიშვილმა (გუდაური) ვერცხლი მოიპოვა, ტატევიკ მურადიანმა (სომხეთი) კი — ბრინჯაო. ბიჭებს შორის, 1995-96-წლიანებში, სოსო ჯაფარიძემ (მესტია) იმარჯვა, ნიკა კოზანაშვილი (გუდაური) მეორეზე გავიდა, სოსო ბაკაევი (ბაკურიანი) — მესამეზე.

1993-94 წლებში დაბადებულთა შორის კახა კურტანიძემ, ზურაბ ბაქრაძემ, გიორგი ხუციშვილმა (სამივე ბაკურიანი) შესაბამისად გაინაწილეს საპრიზო ადგილები. 1991-იანებში — ძმებმა ირაკლი ჩხეიძემ (თბილისი) და ნოდარ ჩხეიძემ (თბილისი), პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს, მესამე ადგილი კი სომეხ ვაგან ხაჩატრიანს ერგო.

ტურნირის დასრულების შემდეგ თემურ აბუთიძის დედას, ქალბატონ ქეთი ჯაფარიძეს გავესაუბრეთ. აი, რა გვითხრა მან: „როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში არცთუ ბევრი პროფესიული ტურნირი ტარდება, რაც, სამწუხაროდ, ხელს უშლის სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სამთო-სათხილამურო სპორტის ასალორძინებლად გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ. ეს შეჯიბრებაც ამის დადასტურებაა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ტურნირზე ნასახელები მოთხილამურეები საერთაშორისო არენაზეც არ შეირცხვენენ თავს“.

**ზურაბ მიგრიაული**



# წყვილი მარცხი



ასასორიუმ ექვსიდან ექვსი ორთაბრძოლა მოიგო

**ქართველი** სუმოისტების ტრიუმფალური სვლა ოსაკას ბაშოზე გუშინ დასრულდა. აქამდე, ზედიზედ ხუთ-ხუთი მეტოქის მძლეველებმა, ლევან ცაგურიამ და ლევან გორგაძემ მეექვსე ტურში წყვილად წააგეს.

კოკაის მეტსახელით ცნობილი ცაგურია ელიტარული, მაკუჩის დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ოს სოსლან გაგლოევთან, იმავე ვაკანოჰასთან დამარცხდა და ლიდერთა მდევრების ჯგუფში დაქვეითდა.

თავში ოთხი დაუმარცხებელი სეკიტორია — დიადი მონღოლი იოკოძუნა ასასორიუ და რიგითი მაეგაშირები, ჰოკუტორიკი, ტოჩიოძანი და ჰომასიუ.

ასასორიუს რვა თვეა, ბაშო არ მოუგია და გამწარებული აცამტვერებს მეტოქეებს. ამ ჯერზე მისი მსხვერპლი კიდევ ერთი მონღოლი, ტოკიტენკუ აღმოჩნდა. კოკაის მსგავსად, ხუთ-ხუთი მოგება აქვთ მეორე მონღოლ იოკოძუნა ჰაკუჰოს, ოძეკი ტოტიაკაის და მაეგაშირებს — ესტონელ ბალტს და იაპონელთა კერპ ტაკამისაკარის.

დღეს კოკაი კიდევ ერთ ოსს, თავის ძველისძველ ნაცნობ როხოს შეხვდება, ვისაც სამი მოგების წილ ამდენივე მარცხი აქვს.

მეორე დივიზიონ ძურიოში პირველი ორთაბრძოლა წააგო 20 წლის ლევან გორგაძემ, ვისაც იაპონელები ტოჩინოშინად უხმობენ. ქართველი სუმოისტი ყოფილმა სეკივაკემ, ტამანოსიმამ დაჯაბნა. დღეს ტოჩინოშინი ორმოგებიან ჰოსირიკარის ხვდება, დივიზიონს კი დაუმარცხებლად 36 წლის ექსსეკივაკე ტოსანოუმი ლიდერობს.

# ძრავები აბღუვლდა, სისხლი ადუღდა






**აჰა,** გაილია ოთხ თვეზე მეტხანს გაწელილი სეზონთაშორისი პერიოდი და გუშინ ავსტრალიაში, მელბურნის „ალბერტ პარკის“ ავტოდრომზე კვლავ ახმაურდა საპირველფორმულო სამყარო — ბოქსები აფუსფუსდნენ, მძღოლები ბოლიდთა კოკპიტებში ჩასხდნენ, ძრავები აბღუვლდნენ და სამეფო მრბოლების ქარავანი 59-ედ გაუყვა გრძელ, მომქანცველსა და ხიფათიან გზას.

შარშანდელი, რიგით 58-ე საპირველფორმულო ჩემპიონატი, ერთგვარად საეტაპო იყო, რადგანაც დიადი მიხაელ შუმახერი წავიდა და პირველმა ფორმულამაც ახალი, უმიხეილშუმახერო ცხოვრება დაიწყო.

დაიწყო, და არნახულად საინტერესო, დამაინტრიგებელი და სკანდალებით აღსავსე ჩემპიონატი შემოგვთავაზა, რომლის გამარჯვებულის ვინაობაც ბოლო რბოლაშიღა გაირკვა.

სკანდალები იქით დარჩენილიყოს და, ინტერესი და ინტრიგა წლეულსაც ბევრი თუ იქნება, ამას რა აჯობებს. წესით, უნდა იყოს კიდეც, თუმც საპირველფორმულო სამზარეულოში ჩახედულები ამბობენ, მოსაწყენი სეზონი იქნება, „ფერარი“ ყველას ერთი თავით აღემატება, ანუ „ალისფერი ბედაურები“ დანარჩენ მანქანებს წრეზე, მინიმუმ ერთ წამს მოუგებენ და ინტრიგას მოკლავენო.

ჩვენ ასე არ გვგონია. „მაკლარენი“ „ფერარიზე“ ნაკლები არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ საჯინიბომ უკან მოიტოვა შავბნელი დღეები, როდესაც დღე არ გავიდოდა, არ თქმულიყო, დღეს არა და ხვალ, რონ დენისს, ვინც თითქმის სამი ათეული წელია, თავკაცობს „მაკებს“, კარისკენ მიუთითებენო.

დენისი გუნდში დარჩა და ასეთ დროს დენისისნაირებს მხოლოდ გამარჯვება თუ დააკმაყოფილებთ, მით უმეტეს, როდესაც გუნდში ლუის ჰემილტონისნაირი სუპერნიჭიერი პილოტი გყავს.

„ფერარი“ და „მაკლარენი“ დანარჩენებს, ალბათ, მართლა აღემატებიან, მაგრამ სეზონი გრძელია და რა და როგორ იქნება რამდენიმე ეტაპის შემდეგ, ძნელი სათქმელია.

აი, „რენო“ ავიღოთ. ფრანგული საჯინიბოს იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორე ამბობს, სამი ეტაპის შემდეგ, როდესაც ევროპაში დავბრუნდებით, გაცილებით ძლიერები ვიქნებითო და ალბათ, დაეჯერება — ბრიატორემ იცის საჩემპიონო გუნდის გაკეთება და ორგზის ტრიუმფატორი ფერნანდო ალონსოც იმიტომ არ დაბრუნებულა გუნდში, სადღაც პელოტონის შუაში რომ იყურყუტოს.

ახლა „უილიამსის“ ვთქვათ. წლევანდელი სეზონი სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოსთვის საიუბილეო, 30-ეა პირველ ფორმულაში და გუნდი ისტორიული, მე-500 რბოლის მოლოდინშია. ასეთ დროს წარმატებებზე უნდა იფიქრო და წინასასეზონო ტესტებზე ისე გამოჩნდა, რომ „უილიამსი“ ძველი პოზიციების დასაბრუნებლად ემზადება.

„BMW-ზაუბერი“ — ეს გუნდი ბოლო წლებში ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ და ალბათ, დადგა დრო, „დიდი პრიზების“ მოგება რომ დაიწყოს.

„ფერარისა“ და „მაკლარენის“ მომდევნო ეშელონს, ალბათ, სწორედ ეს სამი გუნდი შეადგენს — „რენო“, „უილიამსი“, „BMW-ზაუბერი“ და ნურც „რედ ბულს“ დავივიწყებთ. თუმცა, „რენოს“ ძრავიანი „წითელი ხარები“, უფრო მესამე ეშელონში უნდა მოვიაზროთ „ტოიოტასთან“ და „ფერარის“ ძრავებიან „წითელ ხარებთან“, ანუ „ტორო როსოსთან“ ერთად.

ამათ უკან „ჰონდა“, ახლად შექმნილი „ფორს ინდია“ და ძლივს გადარჩენილი „სუპერ აგური“ არიან. ოღონდაც, „ჰონდა“ მხოლოდ ამ ეტაპზე თუ იქნება ბოლოში — როდესაც გუნდში როს ბრაუნისნაირი გენიოსი გყავს, საეჭვოა, კუდში დიდხანს იჩანჩალო.

აი, ასეთია ძალთა სავარაუდო განლაგება, თუმც ვარაუდებისა და პროგნოზების დრო უკვე დასრულდა — გუშინ მელბურნში, უკვე ორი თავისუფალი პრაქტიკა ჩატარდა, დღეს კვალიფიკაციაა, ხვალ დილით კი ახალი სეზონის პირველი „დიდი პრიზი“ გათამაშდება.

და, რადგანაც თავისუფალი პრაქტიკა ვახსენეთ, შედეგებსაც გაგაცნობთ. პირველი პრაქტიკისას ყველაზე სწრაფი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი იყო, ვისაც ნახევარი წამით ჩამორჩნენ ჰემილტონი და ფელიპე მასა. ამათ უკან, პირველ ათეულში, ჰეიკი კოვალაინენი, მარკ ვებერი, ალონსო, რობერტ კუბიცა, ტიმო გლოკი, სებასტიან ფეტერი და იარნო ტრული განლაგდნენ.

მეორე ცდაზე, უკვე ჰემილტონმა აჩვენა საუკეთესო დრო. მეორე ვებერი იყო, შემდეგ ადგილებზე კი მასა, კოვალაინენი, დევიდ კულტჰარდი, რაიკონენი, იარნო ტრული, ნიკო როსბერგი, ფიზიკელა და გლოკი აღმოჩნდნენ.

**ბახა ლომაძე**

**პირველი ეტაპი ავსტრალიის დიდი პრიზი**

**ალბერტ პარკი**

*მელბურნი, 16 მარტი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **5.303 კმ**
**რბოლის დისტანცია** ------------------------- **58 წრე — 307.574 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 08-30 საათზე*

1. რაიკონენი (ფერარი); 2. ალონსო (მაკლარენი); 3. ჰემილტონი (მაკლარენი); 4 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 5 ფიზიკელა (რენო); 6 მასა (ფერარი); 7 როსბერგი (უილიამსი); 8 რ. შუმახერი (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:24.215 (227,0კმ/სთ)

## გუნდები და მრბოლები

**ფერარი,** *ძრავა:* ფერარი 056
კიმი რაიკონენი (ფინეთი), ფელიპე მასა (ბრაზილია)
**BMW ზაუბერი,** *ძრავა:* BMW P86/7
რობერტ კუბიცა (პოლონეთი), ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია)
**რენო,** *ძრავა:* რენო RS27
ფერნანდო ალონსო (ესპანეთი), ნელსონ პიკე უმცროსი (ბრაზილია)
**მაკლარენი;** *ძრავა:* მერსედეს-ბენც FO108T
ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი), ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი)
**რედ ბული,** *ძრავა:* რენო RS27
მარკ ვებერი (ავსტრალია), დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი)
**უილიამსი,** *ძრავა:* ტოიოტა RVX-07
ნიკო როსბერგი (გერმანია), კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია)
**ტორო როსო,** *ძრავა:* ფერარი 056
სებასტიან ფეტელი (გერმანია), სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი)
**ტოიოტა,** *ძრავა:* ტოიოტა RVX-07
ტიმო გლოკი (გერმანია), იარნო ტრული (იტალია)
**ჰონდა,** *ძრავა:* ჰონდა RA807E
რუბენს ბარიკელო (ბრაზილია), ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი)
**ფორს ინდია,** *ძრავა:* ფერარი 056
ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია), ადრიან სუტილი (გერმანია)
**სუპერ აგური,** *ძრავა:* ჰონდა RA807E
ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი), ტაკუმა სატო (იაპონია)

## 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი

| | | |
|---|---|---|
| 16 მარტი | ავსტრალიის დიდი პრიზი | მელბურნი, ალბერტ პარკი |
| 23 მარტი | მალაზიის დიდი პრიზი | სეპანგი |
| 6 აპრილი | ბაჰრეინის დიდი პრიზი | სახირი |
| 27 აპრილი | ესპანეთის დიდი პრიზი | ბარსელონა, კატალუნია მონტმელო |
| 11 მაისი | თურქეთის დიდი პრიზი | სტამბოლი |
| 25 მაისი | მონაკოს დიდი პრიზი | მონტე კარლო |
| 8 ივნისი | კანადის დიდი პრიზი | მონრეალი, ვილნევის ავტოდრომი |
| 22 ივნისი | საფრანგეთის დიდი პრიზი | ნევერი, მანი კური |
| 6 ივლისი | დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი |
| 20 ივლისი | გერმანიის დიდი პრიზი | ჰოკენჰაიმრინგი |
| 3 აგვისტო | უნგრეთის დიდი პრიზი | ბუდაპეშტი, ჰუნგარორინგი |
| 24 აგვისტო | ევროპის დიდი პრიზი | ვალენსია |
| 7 სექტმბერი | ბელგიის დიდი პრიზი | სპა-ფრანკორშამი |
| 14 სექტემბერი | იტალიის დიდი პრიზი | მონცა, აუტოდრომე ნაციონალე |
| 28 სექტემბერი | სინგაპურის დიდი პრიზი | სინგაპური (ღამის რბოლა) |
| 12 ოქტომბერი | იაპონიის დიდი პრიზი | ფუძი |
| 19 ოქტომბერი | ჩინეთის დიდი პრიზი | შანხაი |
| 2 ნოემბერი | ბრაზილიის დიდი პრიზი | სან პაულო, ინტერლაგოსი |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეტიანშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქანქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00